პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 142 (18384) პარასკევი, 18 ივნისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

დასახულ ღონისძიებათა მიზანია რაც შეიძლება მოკლე ვადაში საიმედოდ უზრუნველყოთ ქვეყნის მოსახლეობა სურსათ-სანოვაგით. ეს არის არა მარტო უპირველესი ეკონომიკური, არამედ აგრეთვე, აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური ამოცანაც. სწორედ ამიტომ არის, რომ ახლანდელ პლენუმს განსაკუთრებული აზრი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შედეგები და სსრ კავშირის სასურსათო პროგრამისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან გამომდინარე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე 1982 წლის 15 ივნისს

ამხანაგებო!

განვიხილავთ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შედეგებიდან და პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან „სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ“.

სანამ ამ ამოცანების განხილვას შევუდგებოდეთ, შევეხოთ იმას, თუ როგორ მზადდებოდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს პლენუმი, როგორ მუშავდებოდა მის განსახილველად წარდგენილი სასურსათო პროგრამა.

მოგეხსენებათ, შარშან თებერვალში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ, სურსათით მოსახლეობის მომარაგების პრობლემის რადიკალური გადაწყვეტის მიზნით, საჭიროდ ცნო სპეციალური **სასურსათო პროგრამის** შემუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება. იქვე ითქვა, პროგრამაზე მუშაობა ეს-ეს არის დაიწყოო.

იმავე წელს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, ესე იგი პარტიის XXVI ყრილობის შემდეგ მოწვეულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველსავე პლენარულ სხდომაზე, ლეონიდ ილიას ძემ კვლავ აღნიშნა, რომ პარტიის XXVI ყრილობამ საჭიროდ **ცნო კომპლექსური სასურსათო პროგრამის** მომზადება და მისი შეტანა ხუთწლიან გეგმაში, და რომ ასეთი პროგრამის შედგენა უაღრესად შემოქმედებითი და რთული საქმეა.

და აი, ახლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმს განსახილველად წარუდგინა **სასურსათო პროგრამისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებათა საკითხი.**

ქვეყნის სასურსათო პროგრამა კოლექტიური აზროვნების ნაყოფია. მის შედგენაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, სპეციალისტები. გათვალისწინებულ იქნა რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების, შესაბამისი სამინისტროების, პარტიის საოლქო კომიტეტებისა და საოლქო აღმასკომების, რაიკომებისა და რაიაღმასკომების წინადადებები, პრესის მასალები და მშრომელთა წერილები.

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში აისახა რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, საქართველოს, ლატვიის, ესტონეთის მთელი რიგი რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებში შეძენილი გამოცდილება, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეს როგორც აღინიშნა, **ხშირი პერსპექტიული ღონისძიებაა**, ასეთი მაღალი შეფასება ბევრ რამეს ავალებს საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა გამოთქვა რწმენა, რომ მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ქვეყნის ცხოვრებაზე, მის ეკონომიკაზე არანაკლებ გავლენას მოახდენს, ვიდრე თავის დროზე მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, რომელსაც პარტიამ და ხალხმა სამართლიანად უწოდეს ისტორიული.

დღეს, ამხანაგებო, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავალი თაობები ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმს ისტორიულს უწოდებენ. მისი ისტორიული მნიშვნელობა კარგად აქვთ შეგნებული ჩვენს თანამედროვეებსაც, საბჭოთა ადამიანების ახლანდელ თაობას.

ეს პლენუმი ისტორიულია, ვინაიდან ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენება, პლენუმის მიერ მიღებული დოკუმენტები, როგორც იმავე პლენუმზე ვთქვით, **შევა კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის ოქროს ფონდში, ისინი მოასწავებენ განსაკუთრებულ ეტაპს, რომელიც ახლებურად ავლენს განვითარებული სოციალიზმის საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა შესაძლებლობებსა და უპირატესობას.**

ყოველივე ამის გამო, ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმი, რომელმაც სასურსათო პროგრამა მოიწონა, თვითონ არის საპროგრამო პლენუმი, რადგან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, პლენუმის მიერ მიღებულ დოკუმენტებში განსაზღვრულია სურსათით საბჭოთა ხალხის უზრუნველყოფის, მისი ცხოვრების დონის ამაღლების, მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების როგორც მიმდინარე, ისე პერსპექტიული ამოცანები, მითითებულია გზები ამ რთულ ამოცანათა გადასაწყვეტად.

მათ შესრულებას ჩვენი პარტია უკვე შეუდგა. ამ სამუშაოს იწყებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმიც, რომლის ამოცანაა:

— **შეაჯამოს იმ მუშაობის ზოგიერთი შედეგი, რომელიც სოფლის მეურნეობაშია გაწეული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ, სათავე რომ დაუდო ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკის ახალ კურსს;**

— **განსაზღვროს მთავარი პრობლემები და ამოცანები, რომლებიც რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის წინაშე დგას სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად;**

— **გააანალიზოს, თუ როგორ მიმდინარეობს რაიონული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებების, რესპუბლიკის მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირება;**

— **განიხილოს სასურსათო პროგრამა სხვადასხვა ასპექტით — იქნება ეს ეკონომიკური, თუ სოციალურ-პოლიტიკური..**

ამგვარი განზრახვით, მუშაობის ამგვარი პროგრამით წარუდგენს ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოხსენებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმს.

I. ათვლის წერტილი—სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმი

იმისათვის, რომ უკეთ, უფრო მკაფიოდ წარმოვიდგინოთ სამომავლო ამოცანები, საჭიროა გონების თვალი გადავავლოთ განვლილ გზას, შევაჯამოთ ის, რაც უკვე გაკეთდა. როგორც პლენუმზე აღინიშნა, მართებული იქნება, თუ ასეთი ათვლის წერტილად სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმს მივიჩნევთ.

დღეს უკვე სავსებით ცხადია, რომ იმ კურსის წყალობით, რომელსაც მაშინ დაადგა პარტია სოფლის მეურნეობაში კაპიტალ-დაბანდებათა გადიდებისათვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მისი დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებისა და მათი დამოუკიდებლობის გაზრდისათვის, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ამ წლების მანძილზე მიღწეულია თვისებრივი გარდატეხა ქვეყნის სოფლის მეურნეობაში. მკვეთრად გაიზარდა შრომის ენერგოაღჭურვა, სარწყავი და დაშრობილი მიწების ფონდი, მინერალური სასუქების მიწოდება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ერთიორად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, თანამიმდევრულად ყალიბდებოდა აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგები.

პარტიის აგრარულმა პოლიტიკამ, სოფლის მეურნეობაში დაბანდებულმა დიდმა სახსრებმა, მილიონობით ადამიანის გარჯამ მნიშვნელოვნად გაზარდა **სურსათსანოვაგის წარმოება.**

არსებითად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება საქართველოს სს რესპუბლიკაშიც, ბოლო 15 წლის მანძილზე კაპიტალურმა დაბანდებებმა დარგში 4,8 მილიარდი მანეთი შეადგინა. სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის გაცილებით მეტი გაკეთდა, ვიდრე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ განვლილი ყველა წინა წლის განმავლობაში. მელიორირებული მიწების ფართობი 90 ათასი ჰექტარით გადიდდა, ხოლო სამელიორაციო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი სახსრების ოდენობა მერვე ხუთწლედის 232 მილიონი მანეთიდან მეთერთმეტე ხუთწლედში 700 მილიონ მანეთამდე გაიზარდა, შარშან სოფლის მეურნეობაში 3-ჯერ მეტი ძირითადი ფონდები ამოქმედდა, ვიდრე 1965 წელს. ყოველივე ამან, ცხადია, ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერებას.

ყველაზე უფრო არსებითი, მე ვიტყოდი, კარდინალური ძვრები სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოხდა ბოლო 10 წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე. ამ წლებში ხორცის შესყიდვა გაიზარდა 71 პროცენტით, რძისა — 55 პროცენტით, კვერცხისა — 173 პროცენტით, ჩაის ფოთლისა — თითქმის 2-ჯერ, ყურძნისა — 160 პროცენტით, ხილის და ციტრუსებისა — 3,5-ჯერ, ბოსტნეულისა — 111 პროცენტით, კარტოფილისა — თითქმის ორჯერ და ა. შ. რესპუბლიკა ასრულებდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა-ვალდებულებას, ორჯერ და უფრო მეტად გადიდდა საკვების დამზადება. თითქმის ერთიორად იმატა კოლმეურნეობების წმინდა შემოსავალმა და საბჭოთა მეურნეობების მოგებამ.

სასურსათო საქონლის ვაჭრობის მოცულობამ შარშან 2,5-ჯერ გადაამეტა 1965 წლის დონეს.

ამასთანავე, მაისის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ **სასურსათო პრობლემა ჯერ სულაც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან.** ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანაში, რესპუბლიკაში არ კმაყოფილდება მოთხოვნილება ხორცისა და რძის ნაწარმზე, ბოსტნეულზე. ჩვენ ერთ სულ მოსახლეზე უფრო ნაკლებ მეცხოველეობის პროდუქციას ვაწარმოებთ და ნაკლებს მოვიხმართ, ვიდრე საშუალოდ კავშირში. სამწუხაროდ, ამ პროდუქციის წარმოება ჩვენში საერთოდ უფრო ნელა მატულობს, ვიდრე დამზადება.

პლენუმის მონაწილეებს უნდა ვაცნობოთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის დამთავრებისთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ შექმნა **სპეციალური კომისია რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის შემუშავება-რეალიზაციისათვის** და ამ კომისიის ხელმძღვანელობა დააკისრა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს.

პროგრამის პროექტი პლენუმის მონაწილეებს დაურიგდათ, ამიტომ საჭირო არ არის მისი ყველა ასპექტის დაწვრილებით განხილვა. საქართველოს სს რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის ძირითადი მიმართულება, ძირითადი ამოცანა, მთავარი მიზანი ის არის, რომ **უკვე უახლოეს ხანს მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ძირითად სასურსათო საქონელზე რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონე.**

როგორც წარმოდგენილი მასალები ცხადყოფს, ჩაის ფოთლის საშუალო წლიური წარმოება 1990 წლისათვის რესპუბლიკაში გადიდდება 45 პროცენტით, ყურძნისა — 95, ხილის და ციტრუსებისა — 45, ბოსტნეულისა — 60, ხორცისა — 57, — რძისა — 37 პროცენტით და ა. შ. ეს სოლიდური მატებაა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ მას უნდა მივაღწიოთ პრაქტიკულად ფართობისა და სულადობის გაუდიდებლად, ამასთანავე სოფლად მუშახელის რაოდენობის შემცირების პირობებში.

მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს. ხორცის წარმოება 10 წლიწადზე ნაკლებ დროში დაახლოებით 1,5-ჯერ უნდა გავადიდოთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხორცის წარმოების ასეთივე ზრდის მისაღწევად წარსულში 15 წელზე მეტი დაგვჭირდა, ცხადი გახდება ჩვენი ამოცანის მთელი სირთულე.

ეს მოწმობს, რომ სასურსათო პროგრამის შესასრულებლად რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს დასჭირდება არა მარტო ძალების დიდი დაძაბვა, ენერგიისა და ნებისყოფის მაქსიმალური მობილიზება, უაღრესი ორგანიზებულობა და დისციპლინა. ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები თითეულისაგან მოითხოვს ყველა პრობლემის გადაწყვეტისადმი **პრინციპულად ახალ, თვისებრივად სხვაგვარ მიდგომას.**

საქმე ეხება იმას, რომ სასურსათო პროგრამა, ისევე როგორც მყარ მეცნიერულ საფუძველზე შემუშავებული ყოველი სხვა პროგრამა, შეიძლება შესრულდეს მხოლოდ **ნამდვილად მეცნიერული, კომპლექსური ღონისძიებების** განხორციელებით, რომლებიც ორგანულად აერთიანებენ შეძენილ გამოცდილებასა და ნოვატორულ მიდგომას, შრომით ენთუზიაზმსა და გონივრულ გაანგარიშებას.

II. ინტენსიფიკაცია სკკპ აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულება

განვსაზღვრავთ რა ჩვენს უპირველეს ამოცანებს სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, ნიადაგ უნდა გვახსოვდეს ის ტენდენციები, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინა ქვეყნისა და რესპუბლიკის სასურსათო ბალანსზე, გამოიწვია ის, რომ კვების პროდუქტების წარმოება ჩვენში უფრო ნელა იზრდებოდა, ვიდრე მათზე მოთხოვნა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ **ჩვენში ჯერ კიდევ საკმარისად სწრაფად არ იზრდება აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი დარგების ეფექტიანობა.**

სკკპ XXVI ყრილობამ ეკონომიკური ზრდის უპირატესად ინტენსიურ ფაქტორებზე გადასვლა მიიჩნია ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. **ინტენსიფიკაცია სასურსათო პრობლემის გადაჭრის ყველაზე ქმედითი და პრაქტიკულად ერთადერთი შესაძლო გზაა**, ხაზგასმით აღნიშნა პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა.

ჯერ ერთი, საქმე ეხება იმას, რომ საჭიროა **სოფლის მეურნეობის** ინტენსიფიკაციის გაძლიერება.

მეთორმეტე ხუთწლედში საშუალოდ წელიწადში უნდა ვაწარმოოთ 750-780 ათასი ტონა მარცვლეული, დაახლოებით 900 ათასი ტონა ბოსტნეული და ბახჩეული, 1400 ათასი ტონა ყურძენი, სულ ცოტა 635 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 1.440 ათასი ტონა ხილი და ციტრუსი, 570 ათასი ტონა კარტოფილი.

სწორედ ამიტომ მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, რომ **ინტენსიფიკაციის გზაა მეურნეობის გაძლოლის ინტენსიური მეთოდების გამოყენება. უნდა ვისწავლოთ კულტურების მოყვანის კულტურა.**

ჩვენ ხომ ხშირად ნახევრადაც ვერ ვიყენებთ მიწის შესაძლებლობებს. სპეციალისტების აზრით, ჩვენში ხეხილის ბაღების მოსავლიანობა ოპტიმალურ დონეზე სამჯერ დაბალია და საშუალოდ 30 ცენტნერს შეადგენს. გასულ ხუთწლედში შეგვეძლო დამატებით გვეწარმოებინა 270 ათასი ტონა ციტრუსი, მათი მოსავლიანობა საზოგადოებრივ მეურნეობებში იმის ნახევრამდე მაინც რომ გაგვეზარდა, რასაც ჩვენი მოსახლეობა იღებს საკარმიდამო ნაკვეთებში. მნიშვნელოვან რეზერვებს ვერ იყენებენ ამ მიზეზით ვერც მევენახეობაში, ვერც მებოსტნეობაში, ვერც სხვა დარგებში.

ეს კიდევ ერთხელ დამაჯერებლად მოწმობს, რაოდენ გვჭირდება კულტურების მოყვანის **მეცნიერული მეთოდები.** მხედველობაში გვაქვს არა მარტო ის მეცნიერება, რომელიც უკუგებას მოგვცემს მრავალი წლის შემდეგ. ჯერჯერობით კი მხოლოდ იქმნება შემოქმედებით ლაბორატორიებში, მის შესახებ მერე მოგახსენებთ. **დიდ მეცნიერებას ვუწოდებთ აგრეთვე აგროტექნიკური ნორმებისა და წესების იმ უზარმაზარ კომპლექსსაც, რომლებშიც თავმოყრილია, გამოკვეთილია მეცნიერთა, სპეციალისტთა, პრაქტიკოს მუშაკთა მრავალი თაობის პრაქტიკული გამოცდილება.**

ხშირად ელემენტარულად უგულებელვყოფთ ამ ფასდაუდებელ გამოცდილებას, უფრო მეტიც, უარვყოფთ მას. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების თანახმად, საზოგადოებრივ მეურნეობებში ერთწლოვანი კულტურების 30 პროცენტზე მეტის თესვა ხდება აგროტექნიკური ვადების დარღვევით, შეუწყნარებლად ჭიანურდება მათი აღება და როგორც პირდაპირი შედეგი, მოსავლიანობა 2-3-ჯერ დაბალია იმ ჯიშების პოტენციურ შესაძლებლობებთან შედარებით, რომლებიც ითესება.

უაღრესად არადამაკმაყოფილებლად იყენებენ სარწყავი და დაშრობილი მიწების შესაძლებლობებს. ამ მიწებზე მოსავლიანობა, როგორც წესი, ბევრად მცირეა, საპროექტოსთან შედარებით, რის გამოც შარშან მარტო სარწყავი მიწებიდან სახელმწიფოს დააკლდა 35,7 ათასი ტონა მარცვლეული, 42,1 ათასი ტონა კარტოფილი, 50,5 ათასი ტონა ძირხვენები, 263,1 ათასი ტონა ხილი, 184,5 ათასი ტონა ყურძენი და ა. შ.

რადიკალურად უნდა შევცვალოთ დამოკიდებულება სამელიორაციო მიწათმოქმედებისადმი, **მელიორირებულ მიწებზე განვახორციელოთ აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრული კომპლექსი.**

მუდამ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა მცირემიწიანია. მაგრამ ეს ხომ მეტად გვავალებს მიწას მოვეპყრათ როგორც უდიდეს სიმდიდრეს, გავუფრთხილდეთ მას, ოპტიმალურად გამოვიყენოთ თითოეული ჰექტარის შესაძლებლობანი, გამოანგარიშებულია რომ, 1990 წლისათვის რესპუბლიკაში მარცვლეულის მოსავლიანობას გავზრდით საშუალოდ 35-40 ცენტნერამდე, რაც სავსებით რეალურია, შეიძლება მივაღწიოთ სასურსათო პროგრამით დაგეგმილ მოცულობებს და გამოვათავისუფლოთ 60 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა! ამ ფართობზე შეიძლება, თავის მხრივ, მივიღოთ დამატებით 180 ათასი ტონა საკვები (საკვებ ერთეულზე გადაანგარიშებით).

ზუსტად ასევე, თუ შევძლებთ სარწყავ მიწებზე მრავალწლოვანი კულტურების მოსავლიანობა გავზარდოთ საპროექტო დონემდე, ეს, არსებითად, იგივე იქნება, რომ ახალი ბაღები გავაშენოთ 55 ათას სარწყავ ჰექტარზე, რომლებიც ჩვენში ძვირად ფასობს.

გაცილებით მეტ ყურადღებას მოითხოვს თამბაქო, სოია, ეთერზეთოვანი კულტურები. ეს დარგები ჩვენში, პირდაპირ უნდა ითქვას, საქმაოდ ხელმიშვებულია.

მოსავლიანობის გადიდება დაკავშირებულია ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანასთან, მიღებულია გადაწყვეტილება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე შევქმნათ მეთესლეობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება. ამხანაგებმა საინტერესო პროგრამა წარმოადგინეს. გვპირდებიან, რომ ხუთწლედის დამლევისათვის რესპუბლიკაში ათი ათასზე ჰექტარზე მეტ ფართობზე დაითესება სიმინდის ადგილობრივი ჰიბრიდები — ქართული-9, ქართული-52 და ეგზური; ანალოგიური პროგრამები უნდა შევიმუშაოთ მარცვლეულის სხვა ჯიშებზეც. მათ შორის მრავალდროიან პაპალაშვილის ჯიშის სიმინდზე.

ნიადაგ უნდა ვაფართოვებდეთ **სამთო მიწათმოქმედების** შესაძლებლობებს. მთაში გვაქვს უდიდესი სიმდიდრე საძოვრებისა და სათიბების სახით, მაგრამ ამ განძს ჯერ ნაკლებეფექტიანად ვიყენებთ.

მეთორმეტე ხუთწლედის ბოლოს რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე შეიძლება მივიღოთ მინიმუმ 90-100 ცენტნერი ხილი, 90-95 ცენტნერი ყურძენი, ამდენივე ჩაის ფოთოლი, 150-200 ცენტნერი ციტრუსი, 35-40 ცენტნერი მარცვლეული, 230-250 ცენტნერი ბოსტნეული, 175-180 ცენტნერი კარტოფილი, 15-20 ცენტნერი ლობიო და ა. შ.

კიდევ უფრო მეტი რამ უნდა გავაკეთოთ მეცხოველეობისა და საკვებწარმოების კულტურის ამაღლებისთვის.

ქვეყნის სასურსათო პროგრამით გვევალება 1,6-1,7-ჯერ გავზარდოთ ყველა სახეობის საკვების წარმოება, ხოლო ხორცის საშუალო წლიური წარმოება უზრუნველვყოთ 215-220 ათასი ტონის, რძისა — 830-850 ათასი ტონის დონეზე.

ჯერჯერობით 50 ათასზე მეტი ძროხა არ გვაძლევს ხბოს ელემენტარული ზოოტექნიკური და ვეტერინარული წესების სისტემატური დარღვევის გამო, ცაგერის, სიღნაღის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, გალის, ონისძირისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობებში მათმა ხვედრითმა წილმა 40 პროცენტს გადააჭარბა.

რა გვეთქმის? ზოგჯერ ვიმიზეზებთ კონცენტრირებული საკვების ნაკლებობას, აღვნიშნავთ, რომ ერთ პირობით სულ პირუტყვზე ვხარჯავთ მნიშვნელოვნად ნაკლებ საკვებს, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში. ამასთანავე კი ამდენს ვკარგავთ უდისციპლინობის, ჯეროვანი პასუხისმგებლობის, საჭირო ცოდნის უქონლობის მიზეზით.

რძის წარმოების გადიდების დიდმნიშვნელოვანი რეზერვია აგრეთვე ნახირის სტრუქტურაში ძროხების ხვედრითი წილის გადიდება. ამიტომ საკურორტო ზონის რაიონებში გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გავზარდოთ სადგამი სულადობა, ამასთან სასუქებელი კონტინგენტი გადავიტანოთ სპეციალიზებულ მეურნეობებში. კერძოდ, გარდაბნის რაიონში დასახულია უკვე მიმდინარე ხუთწლედში ძროხების რიცხვი გადიდდეს 11.400 სულით, ხოლო რძის წარმოება — 35 ათასი ტონით, რაც უდრის ისეთი ქალაქის მოხმარების წლიურ ნორმას, როგორიც ბათუმია. პროგრამა, უკიდურესად დაძაბულია, მაგრამ გარდაბნელი ამხანაგები გვპირდებიან, რომ მას წარმატებით გაართმევენ თავს.

ჯოგში ძროხების ხვედრითი წილის გადიდების შესაძლებლობა იქმნება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოზარდეულს გასასუქებლად გადავცემთ მოსახლეობას კოოპერაციის საფუძველზე, ასეთ ფორმას, მაგალითად, წარმატებით იყენებენ დმანისის რაიონში. იგი ფართოდ შეიძლება დაინერგოს ზოგიერთ სხვა მთის რაიონშიც, სადაც მოსახლეობის შესაძლებლობა აქვს საკმარისი რაოდენობით დაამზადოს საკვები, ხოლო საზოგადოებრივი მეურნეობები ნაგებობათა ნაკლებობას განიცდიან.

ამავე დროს უკეთ უნდა ავითვისოთ რესპუბლიკაში აგებული სარძე კომპლექსების საპროექტო სიმძლავრეები. ჯერჯერობით 22 ასეთი კომპლექსიდან დაგეგმილ სიმძლავრეს მიაღწია მხოლოდ ერთმა — თელეთის კომპლექსმა.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება ჩვენი მთავარი გზაა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ამიტომ პარალელურად უნდა ვეძებდეთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების სხვა შესაძლებლობებსაც, მაგალითად, თუ მოსახლეობას დავეხმარებით საკვების შეძენაში, გავაუმჯობესებთ ძროხების ჯიშობრივ შემადგენლობას პირად დამხმარე მეურნეობებში, შეიძლება საშუალო წველადობა 250-300 კილოგრამით გაიზარდოს. რესპუბლიკის მასშტაბით ეს ნიშნავს დამატებით 100-120 ათასი ტონა რძეს, რაც დაახლოებით უდრის 1000-1000-ძროხიანი 35-40 მეცხოველეობის კომპლექსის წარმოების მოცულობას და არსებული ნორმების მიხედვით საკმარისი იქნება იმისათვის, რომ წლის მანძილზე უზრუნველვყოთ ისეთი ქალაქები, როგორიცაა არის ქუთაისი და სოხუმი ერთად.

დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში უკანასკნელ ხანს შეინიშნება თხების სულადობის გადიდების ჩვენი აზრით, დადებითი ტენდენცია. რომელსაც მხარი უნდა დავუჭიროთ.

მეორე მხრივ, დროა კარდინალურად გადავჭრათ საკვების პრობლემა. უწინარეს ყოვლისა, მისი წარმოების ყოველმხრივი გადიდების, საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის გზით. მარტო აგროტექნიკის უკეთ დაცვით რესპუბლიკაში შეიძლებოდა სულ ცოტა ერთი სამად გაგვეზარდა სასილოსე სიმინდის მოსავალი, მიგვეღო დამატებით მილიონ ტონამდე სასილოსე მასა, რაც მთლიანად დააკმაყოფილებს ამ სახეობის საკვებზე ჩვენი საზოგადოებრივი ჯოგის მოთხოვნილებას.

არის სხვა გამოუყენებელი რეზერვებიც. საკვებ საამქროებში ახლა ამუშავებენ საზოგადოებრივი მეურნეობისათვის საჭირო დაახლოებით 160-180 ათას ტონა თივასა და ნამჯას. უხეში საკვების მთელი მოცულობა რომ გადაგვემუშავებინა, ეს კი თითქმის 700 ათასი ტონაა, დამატებით მივიღებდით დაახლოებით 40 ათას ტონა საკვებ ერთეულს, რაც უდრის რძის 27 ათასი ტონით გადიდებას. ამ რაოდენობით კი წლის მანძილზე შეგვიძლია უზრუნველვყოთ ისეთი ქალაქები, როგორიც არის გორი და ცხინვალი ერთად.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის უკეთ აღჭურვას თანამედროვე ტექნიკით. ხშირად გამოთქვამენ შეშფოთებას იმის გამო, რომ შრომის ენერგოაღჭურვა ჩვენს სოფლის მეურნეობაში 3,3-ჯერ ნაკლებია საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით და 7,4-ჯერ ნაკლები, ვიდრე ესტონეთში,ამავე დროს ძალიან ცუდად ინერგება მექანიზაციის საშუალებები. დღეს ჩვენთან ძირითადი კულტურების მოვლა-მოყვანის 80-ზე მეტი ოპერაცია პრინციპულად მექანიზებულია, მაგრამ, ძირითადად, ხელით სრულდება, როგორც იტყვიან, ვმუშაობთ ხელით, რადგან ხელი ვერ მიგვიწვდება.

დღეს კიდევ ერთხელ მოვაგონებთ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს, რომ შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის, სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის გაცილებით უკეთ უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების რეზერვები. ეს არის ახლა ჩვენი სახელმწიფო, პარტიული მოვალეობა!

მეორე, სასურსათო პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული **მრეწველობის დარგების** შემდგომ განვითარებას.

პროგრამაში ჩაწერილია: ხილბოსტნეულის კონსერვების წარმოება საქართველოს სს რესპუბლიკაში გაიზარდოს ერთიორად და მეტად. განვითარდება მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოების, ხილისა და ყურძნის წვენების წარმოება. სწრაფი ტემპი ახასიათებს ჩაის წარმოების სიმძლავრეთა ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ 1965 წელთან შედარებით კვების მრეწველობის მთლიანი პროდუქცია ერთისამად და მეტად გაიზარდა. მიმდინარე ხუთწლედში კვების მრეწველობის დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისათვის გამოყოფილია დაახლოებით 400-450 მილიონი მანეთი.

რა ამოცანები დგება ჩვენს წინაშე?

თუ საბოლოო შედეგებს გავითვალისწინებთ, უწინარეს ყოვლისა, ეს არის პროდუქციის მეორეული გადამუშავების გაფართოების საკითხები, მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისათვის, . ჩვენ, ჩაის დაფასოების სიმძლავრეები უნდა გავზარდოთ 90 ათას ტონამდე, ყურძნის ღვინის ჩამოსხმისა — 40-45 მილიონ დეკალიტრამდე და შამპანურისა —50 მილიონ ბოთლამდე.

ამავე დროს, შესამჩნევი ძვრების მიუხედავად, ჯერჯერობით კიდევ გვაქვს ბევრი „ვიწრო ადგილი“, ხარვეზები აგროსამრეწველო კომპლექსის ორი ძირითადი დარგის — სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგების უმნიშვნელოვანეს შესაყარზე. როგორც გაანგარიშება გვიჩვენებს, ყურძნისა და ჩაის ფოთლის პირველადი გადამუშავების სიმძლავრეები 1990 წლის დამლევისათვის უნდა გავზარდოთ შესაბამისად 1500 და 950 ათას ტონამდე, ხოლო ხილბოსტნეულის კონსერვების წარმოების სიმძლავრეები — 1,5 მილიარდ პირობით ქილამდე.

ეს უშუალოდ სასურსათო პროგრამის დავალებებიდან გამომდინარეობს, მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი გადაჭარბებით შევასრულოთ ისინი. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ დამტკიცებული მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების შესაბამისად დასახულია ავითვისოთ და გავაფართოოთ სწრაფხსნადი ჩაის, სასურსათო კონცენტრატების, სწრაფგაყინული ხილისა და ბოსტნეულის, ახალ სახეობათა უალკოჰოლო და გამამხნევებელი სასმელების წარმოება.

თავისთავად გამოგვაქვს დასკვნა: მთელი ამ პროგრამის შესრულების უზრუნველყოფა მხოლოდ ახალი მშენებლობის განხორციელების გზით არარეალური და არაეფექტიანია, თუმცა ბევრის აშენება მოგვიწევს, მაშასადამე, უნდა გამოვძებნოთ **დამატებითი შესაძლებლობანი გადამამუშავებელი დარგების არსებულ სიმძლავრეთა დაჩქარებული გადიდებისთვისაც.**

გადამამუშავებელ დარგებში სიმძლავრეთა მატების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა მივიღოთ **წარმოების ტექნიკური განახლების გზით.** ეს გაცილებით იაფია, ვიდრე ახალი მშენებლობა, მართლაცდა, რატომ უნდა ვაშენოთ ახალი შენობები, თუ ამ დარგებში ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მოწყობილობის ხვედრითი წილი 40 პროცენტს შეადგენს და იგი უკვე დიდი ხანია უნდა შეგვეცვალა.

კვებისა და ხორცის და რძის მრეწველობის სამინისტროების, „სამტრესტისა“ და „საქართველოს ჩაის“ გაერთიანებათა ხელმძღვანელებმა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებთან ერთად ყურადღებით უნდა მოჰკიდონ ხელი ამ პრობლემას, **განსაზღვრონ წარმოების ძირეული ტექნიკური განახლების შესაძლებლობანი.**

(გაგრძელება მე-2 გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი

(გაგრძელება)

რესპუბლიკური სასურსათო პროგრამის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება გაერთიანება „საქთევზმრეწვს". თევზი ფრიად საჭირო პროდუქტია ჩვენი კვების რაციონში. ჩვენ კი, მაგალითად, წლის დამდეგიდან სასურსათო მიზნებისათვის გადავამუშავეთ მხოლოდ 12 პროცენტი ქაფშია. ამოცანა ის არის, რომ 1990 წლისათვის ეს მაჩვენებელი გავზარდოთ 64 პროცენტამდე, ამასთან შესაბამისად გავადიდოთ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სიმძლავრეები. ამავე დროს გათვალისწინებულია რვა ათას ტონამდე, ესე იგი თითქმის 5-ჯერ, გავზარდოთ თევზის წარმოება შიდა წყალსატევებში.

აგროსამრეწველო კომპლექსის წარმატებით ფუნქციონირებაში ბევრი რამ არის დამოკიდებული მრეწველობის იმ დარგებზეც, რომლებიც მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და ტექნიკით უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობას.

ამჟამად საბჭოთა კავშირის სამთო სასოფლო მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შემუშავებული 78 სახეობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისაგან სერიულად გამოდის მხოლოდ 24 სახეობა. განა ბედოვლათობა არ არის, რომ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების შრომა შევალიოთ ისეთი ტექნიკის შექმნას, რომელსაც ვერასდროს ვერ გამოვიყენებთ?

ახლა რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანა". გვინდა გვწამდეს, რომ გადასაწყვეტი საკითხები ბევრად შემცირდება.

ამხანაგებს დიდი უფლებები მივანიჭეთ. ახლა საქმე უკუგებაა. უწინარეს ყოვლისა, მუშაობაში აქტიურად უნდა ჩავაბათ, პარტნიორებად გავიხადოთ ისეთი ორგანიზაციები, როგორიც არის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების შესაბამისი კათედრები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი და სხვა სამეცნიერო ქვეგანაყოფები.

ასეთ პარტნიორობას შეუძლია და უნდა შეუწყოს კიდეც ხელი გაერთიანებას უპირველესი და პერსპექტიული პრობლემების გადაჭრაში. უკვე გაისად ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის ბაზაზე უნდა ავითვისოთ 5-7 ცხენის ძალის სიმძლავრის ისეთი მოტობლოკის სერიული გამოშვება, რომელსაც კიდული და მისაბმელი იარაღები ექნება. გადაუდებელია ჩვენი სამთო მიწათმოქმედებისათვის ესოდენ საჭირო 0611 თვითმავალი შასების წარმოების ორგანიზაციის საკითხიც. უნდა დავამთავროთ 12-14 ცხენის ძალის სიმძლავრის სამთო ტრაქტორის შემუშავება და შევუდგეთ მის გამოშვებას. ბევრია, ამხანაგებო, სხვა ამოცანებიც.

მათი გადაწყვეტისას, რა თქმა უნდა, არც ერთი წუთით მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს პერსპექტივა. უკვე დღეს უნდა ვიფიქროთ მანქანების მომდევნო თაობაზე, რომლებსაც შეეძლებათ იმუშაონ ყოველგვარ რელიეფზე.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას არსებითი დახმარება შეუძლია გაუწიონ საკავშირო დაქვემდებარების, განსაკუთრებით, მრეწველობის თავდაცვითი დარგების საწარმოებმა. გაერთიანება „საქსოფლმანქანამ" გაცილებით უფრო აქტიური კონტაქტი უნდა დაამყაროს მათთან, მოაგვაროს საქმიანი პარტნიორობა ტექნოლოგიის სრულყოფის, სპეციალური მოწყობილობის, ღლეურვილობის, ინსტრუმენტის და სხვათა დამზადების დარგში.

ერთი სიტყვით, მიზანი ნათელია: **უზრუნველვყოთ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების, კერძოდ, სამთო მიწათმოქმედების ენერგოაღჭურვის მკვეთრი ამაღლება.**

სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნისა და საწარმოო გაერთიანება „საქლვინომანქანის" მუშაობაც, რომლებიც ტექნოლოგიურ მოწყობილობას აწვდიან ჩვენს გადამმუშავებელ მრეწველობას.

აგროსამრეწველო კომპლექსის შეწონასწორებაზე რომ ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩაისა და ყურძნის გადამუშავების მზარდი მოცულობანი დამატებითი მოწყობილობის გამოშვებას, მისი ტექნიკური დონის ამაღლებას მოითხოვს. ჯერჯერობით აქ ბევრი რამ ბუნდოვანია, არ არის ზუსტი პროგრამა. არსებითად, ჯერ კიდევ ზუსტად ვერ განგვისაზღვრავს, რომელ ტექნიკურ მოწყობილობას, როდის, სად და რა რაოდენობით ვაწარმოებთ. ასახელებენ სხვადასხვა ციფრებს, და თითოეული უწყება იცავს მათ.

ჩვენი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, „საქართველოს ჩაის" და „სამტრესტის" გაერთიანებებთან, რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროსთან ერთად, პრინციპულად უნდა გაერკვეს ამ საქმეში. ამოცანა ის არის, რომ უახლოეს დროში დავასაბუთოთ რესპუბლიკის მოთხოვნილება გადამმუშავებელი მრეწველობის ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე და ჩვენი მოსაზრებანი და განგარიშებანი წარვუდგინოთ საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს.

დროა, საკავშირო სამინისტროს წინაშე აღვძრათ აგრეთვე ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნისა და გაერთიანება „საქღვინომანქანის" პროდუქციის განახლების საკითხი.

სასურსათო პროგრამა პასუხსაგებ დავალებას აკისრებს ქუთაისელ ავტომშენებლებს — „... უზრუნველყონ მეთერთმეტე ხუთწლედში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების წელიწადში 20 ათასი ავტომატარებლის წარმოების სიმძლავრეთა შექმნა..."

ეს, ამხანაგებო, რთული და მეტად საპატიო საქმეა. შეგახსენებთ, რომ იგი დაიწყო ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ინიციატივით, და ის, რომ ახლა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში სიმძლავრეთა მწყობრში ჩაყენება ცალკე პუნქტით არის აღნიშნული პროგრამაში, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამდენად სერიოზულია ეს პრობლემა საერთო-სახელმწიფო მასშტაბით, რამდენად უნიკალურია ეს ავტომატარებელი.

წელს დიდ საწარმოთა განვითარების სპეციალური სამუშაო ჯგუფის გამსვლელ სხდომებზე ქვეყნის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად უკვე ორჯერ განვიხილეთ, თუ როგორ მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მთავრობამ და საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ დაამტკიცეს ორმხრივი ღონისძიებანი, რომლებშიც განსაზღვრულია მშენებელთა, მემონტაჟეთა, ექსპლოატაციის მუშაკთა, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური ორგანოებისა და ქვეგანაყოფების კონკრეტული ამოცანები. ჩვენი აზრით, პრინციპული გადაწყვეტილებანია მიღებული.

რესპუბლიკის მთიანი რელიეფის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უმრავლესობის წვრილკონტურიანობის რთულ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება **სპეციალურ სახეობათა ტრანსპორტს** — კიდულ ბაგირგზებს, მონორელსებს, მილსადენებს,— და მე შემთხვევით არ ვამახვილებ ჩვენი პლენუმის ყურადღებას მათზე. ამ პრობლემის მეცნიერულ და პრაქტიკულ მხარეს ჩვენს რესპუბლიკაში დღეს განაგებს სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია ქვეყანაში. კერძოდ, იგი საბჭოთა კავშირში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კიდული ბაგირგზების შექმნის დარგში მეთაური ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობისათვის მონორელსიანი გზების შექმნის დარგში წამყვანი ორგანიზაციაა და ა. შ.

კომიტეტის წინაშე მდგომი ამოცანების წრე დღითიდღე ფართოვდება. მათს გადაწყვეტაზე ახლა უშუალოდ არის დამოკიდებული მთაში სამთო მეციტრუსეობისა და საკვებწარმოების, ზოგიერთი სხვა დარგის განვითარება.

აი, რატომ არის, რომ ზედმიწევნით უნდა გავერკვეთ ახალქალაქის კიდული ბაგირგზების მოწყობილობის ქარხნის მშენებლობის ყველა საკითხში. აქ არის შეუსაბამობანი. მაგალითად, პროექტში არ არის გათვალისწინებული ფოლადის ჩამოსხმის სიმძლავრეები. უნდა გადავწყვიტოთ პნევმოტრანსპორტის მაგისტრალებისათვის საჭირო მოწყობილობის წარმოების საკითხიც. დროა, ეს საქმე გეგმიან საფუძველზე გადავიყვანოთ.

მთის პირობებში სპეციალურ სახეობათა ტრანსპორტის განვითარება დაკავშირებულია იმის საჭიროებასთან, რომ გვქონდეს მათი ენერგიის სპეციალური წყაროებიც. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია კომიტეტმა საქმიანი პარტნიორობა დაამყაროს ქარხანა „აგრეგატთან" და გადაწყვიტოს ეს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა.

არის სხვა საკითხებიც. მაგრამ მთავარი ეს როდია. ახლა უკვე ცხადია, რომ **უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენში შეიქმნა მანქანათმშენებლობის დამოუკიდებელი, პრინციპულად ახალი დარგი.** ეს ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ადასტურებს იმ უპირატესობებს, რომლებსაც აუცილებლად ვიღებთ, როცა ოპერატიულად ვწყვეტთ ყველა საკითხს, ადასტურებს პრობლემებისადმი შემოქმედებითი და საქმიანი მიდგომის უპირატესობებს.

რეკონსტრუქცია განიცადა ჩვენში უკანასკნელი წლების მანძილზე დიდმა ქიმიამ. მტკიცე იმედი გვაქვს, რომ რუსთავის ქიმიური ქარხნის ახალი წარმოებანი სრული უკუგებით ამუშავდება.

კვლავ მინდა შევნიშნო, რომ ჩვენ ხშირად ვჩივით: ამბობენ, მინერალური სასუქებით სხვა რეგიონებზე უარესად ვართ უზრუნველყოფილი, ბევრი მაჩვენებელი ჩვენში უარესია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში. არადა, რუსთაველი ქიმიკოსები რიტმულად, სტაბილურად რომ მუშაობდნენ, შეძლებდნენ ყოველწლიურად გამოეშვათ 20-30 ათას ტონამდე ზეგეგმითი სასუქები, რომლებიც, არსებული დებულების თანახმად, რესპუბლიკაში რჩება. ამრიგად, ჩვენს სოფლის მეურნეობას დააკლდა 60 ათას ტონაზე მეტი სასუქები. ეს კი დამატებით 130 ათასი ტონა თივა, ანუ 65 ათასი ტონა საკვები ერთეული, ანუ ხუთი ათასი ტონა ხორცია!

განა თქმა უნდა იმას, რაოდენ საჭიროა დღეს, რომ რუსთაველ ქიმიკოსთა კოლექტივმა, რაც შეიძლება მალე აითვისოს საპროექტო სიმძლავრეები, რაოდენ ბევრი რამ არის დამოკიდებული აქ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პოზიციაზეც?

გუშინ ვესაუბრე ქარხნის დირექტორს ამხ. გ. ტ. გოგოლაძეს, პარტორგანიზაციის ხელმძღვანელებს, და მათ აღმითქვეს, რომ უკვე წლის მეორე ნახევარში საწარმოო პროგრამას უთუოდ შეასრულებენ.

მესამე, სასურსათო პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებით გულდასმით უნდა გავაანალიზოთ საქმის მდგომარეობა **სასოფლო მშენებლობაში.**

სოფლის მშენებელი ახლა მეტად ავტორიტეტიანი და პატივსაცემი ფიგურა გახდა სოფლად. ამავე დროს ამ სფეროში ჩვენ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. ჩვეულებრივ აღინიშნება ხოლმე, რომ ჩვენთან ძალიან ჩამორჩება აგრარულ სექტორში შრომის ფონდაღჭურვის მაჩვენებელი. ამავე დროს მეათე ხუთწლედში ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმის შეუსრულებლობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით დააკლდა 166 მილიონი მანეთი. უკეთესი მდგომარეობა არც შარშან ყოფილა — ამოქმედების დავალება მხოლოდ 76 პროცენტით შესრულდა.

ამის მიზეზი ბევრია. მთავარი აქ, რა თქმა უნდა, თვით მშენებელთა სუსტი მუშაობაა. მაგრამ თუ უფრო ღრმად გავერკვევით, აქ უარყოფით როლს ხშირად ასრულებს შეკვეთის არასაკმარისი მუშაობა, დაპროექტების შეცდომები და ა. შ. საკმარისია ითქვას, რომ შარშან 52 ობიექტი ვერ ამოქმედდა იმ საჭირო მოწყობილობისა და სპეციალური მასალების უქონლობის გამო, რომელთა მიწოდება უნდა უზრუნველეყო საქსასოფლტექნიკას, სხვა ორგანიზაციებს.

ლ. ი. ბრეჟნევმა ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე აღნიშნა, რომ **მაქსიმალური ყურადღება უნდა დავუთმოთ იმ ობიექტების დროულ ამოქმედებას, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ უმოკლეს ვადაში მივიღოთ სასურსათო პროდუქტების მაქსიმალური მატება.** ჩვენ კი ვერ დაგვიმთავრებია კლდეკარის, ეგრისისა და კორბოულის მეცხოველეობის კომპლექსების, დუშეთის სანაშენე მეფრინველეობის, ბიბნისის მეხილეობის კომპლექსისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა, რომლებიც წლობით ჭიანურდება.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ გარკვეულწილად შევეხეთ სოფლად მშენებლობის ორგანიზაციისა და დაგეგმვის საკითხებს, უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ ისეთ მნიშვნელოვან პრობლემასაც, როგორიც არის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო გაერთიანებების ურთიერთობა სამშენებლო ორგანიზაციებთან. იგი ახლა ჩვენთან გართულებულია. სხვაგვარად რით აიხსნება, მაგალითად, ასეთი ფაქტი: ამბროლაურის რაიონის სოფელ ლიხეთის კოლმეურნეობის კანტორა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სულ 70 ათასი მანეთია, 1977 წლიდან შენდება. და ამგვარი მაგალითები ჩვენთან, სამწუხაროდ, ბევრია.

სამშენებლო, საპროექტო, წყალსამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობის მეტი კოორდინაცია გვჭირდება კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული მიწების დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების საქმეშიც.

მაისის პლენუმზე მოწონებული სასურსათო პროგრამა გვისახავს კონკრეტულ ამოცანას —1990 წლამდე დავამთავროთ კოლხეთის 70 ათასი ჰექტარი მიწების დაშრობისა და ათვისების სამუშაოები. ამ მიზნით ძალზე დიდი კაპიტალდაბანდებანი გამოიყოფა.

უდავოა, კოლხეთში დღეს ბევრი რამ არის შთამბეჭდავი. მაგრამ ასევე ბევრი რამ არის გასაკეთებელი, გასაუმჯობესებელი, დასაჩქარებელი. მაგალითად, შარშან 6,2 ათასი ჰექტარის ნაცვლად დაშრობილია ხუთი ათას ჰექტარზე ოდნავ მეტი. გათვალისწინებული იყო მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურები გაგვეშენებინა 3,3 ათას ჰექტარზე, სინამდვილეში კი გაშენდა მხოლოდ 920 ჰექტარზე და ა. შ. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ თუ დაშრობის სამუშაოები ასეთი ტემპით გაგრძელდა, მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურების გაშენების ჩვენს პერსპექტიულ გეგმებს შეიძლება ჩაშლის საფრთხე შეექმნას.

ველით, რომ რესპუბლიკის „საქმთავარწყალმშენი", მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ძირეულად გარდაქმნიან მუშაობას, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პრობლემათა კომისია კი უკეთ წარმართავს კოლხეთის ათვისების საქმესთან დაკავშირებული ორგანოებისა და დაწესებულებების მეცადინეობას.

მეოთხე, სასურსათო პროგრამით გათვალისწინებულია **მეცნიერების** შემდგომი განვითარებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში **მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის** დაჩქარების ღონისძიებანი.

მეცნიერება, ლ. ი. ბრეჟნევის თქმით, სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის თავიდათავია. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეცხრე და მეათე ხუთწლედებში რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მარტო ორ წამყვან დარგში — სოფლის მეურნეობასა და გადამმუშავებელ მრეწველობაში მეცნიერების მიღწევების დანერგვის ეკონომიკურმა ეფექტმა 115 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

მეცნიერების, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პრობლემები დეტალურად განვიხილეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინა VI პლენუმზე. და დღეს, როცა მოვითხოვთ ზუსტად დავიცვათ აგროტექნიკური ნორმები და წესები, ამით ჩვენ ერთგვარად უკვე შევეხეთ გამოყენებით მეცნიერებას, თუ გნებავთ, **მეცნიერულ-ტექნიკურ დისციპლინას.**

მაგრამ ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, გაცილებით ფართოდ დგას. იგი განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი რესპუბლიკისათვის. საქმე ის არის, რომ 1990 წლისათვის, როგორც ვვარაუდობთ, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გაძღოლის არსებული მეთოდების გამოყენებით ნიადაგების ნაყოფიერებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდების ყველა ჩვენი პრაქტიკული შესაძლებლობა, არსებითად, ამოიწურება.

მაშასადამე, ახლა ჩვენი მთავარი დასაყრდენი, ჩვენი მთავარი იმედი მეცნიერება და მეცნიერული მეთოდების დანერგვაა. ისინი ბევრად უნდა უსწრებდნენ პრაქტიკას. საქართველოს პირობებში, სადაც, ვთქვათ, რუსეთის ფედერაციისაგან, უკრაინისაგან, ყაზახეთისაგან განსხვავებით არ არის ვრცელი სათესი ფართობები, მხოლოდ მაღალეფექტიანი ღონისძიებანი მოახდენს შესამჩნევ გავლენას მთლიანი მოსავლის გადიდებაზე. მაშასადამე, უნდა შევეჩვიოთ მეცნიერული კატეგორიებით აზროვნებას, საჭიროა, როგორც ამას მშენებლები იტყვიან, შევქმნათ მარაგნამეტი, მეცნიერული იდეების, მეცნიერული ნამუშევრების მარაგნამეტი.

გულმოდგინედ შევისწავლოთ, თუ რა არის გაკეთებული ჩვენს სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში, სტიმული მივცეთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებებს, განსაკუთრებით **ბიოლოგიის მეცნიერების** დარგში. მინდა საგანგებოდ აღვნიშნო ამგვარი კვლევის მნიშვნელობა.

ახლა ნიადაგის გამდიდრების, მავნებლებთან ბრძოლის, სელექციური მუშაობის და სხვა ბიოლოგიური მეთოდები სულ უფრო მეტად ვითარდება მსოფლიოში. ჩვენი აზრით, საჭიროა შესამჩნევად გავზარდოთ რესპუბლიკაში ამ მნიშვნელოვან გამოკვლევათა როგორც მოცულობა, ისე ხარისხობრივი დონე. უნდა გავაფართოოთ და ოპტიმალური გავხადოთ ფოტოსინთეზის დარგში მუშაობა, ვინაიდან, ეს გვიხსნის მცენარეთა ფიზიკური და ქიმიური თვისებების მართვის გზას. უნდა დავაჩქაროთ კვლევა ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის დარგში.

უკანასკნელი წლების მანძილზე საგულისხმო შედეგებია მიღწეული გენური ინჟინერიის დარგში, რომელიც ახალი უხვმოსავლიანი ჯიშებისა და ჰიბრიდების მიღების საშუალებას იძლევა.

საკმაოდ წარმატებით ეწევიან კვლევას ამ მიმართულებებით ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. მაგალითად, მცენარეთა ბიოქიმიის, ფიზიკური და ორგანული ქიმიის, ფარმაკოქიმიის, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტებსა და სხვა ორგანიზაციებში. ამიტომ საჭიროა გავაუმჯობესოთ ყველა სამუშაოს კოორდინაცია და ავამაღლოთ მათი ეფექტიანობა.

შეთანხმებული მუშაობის კოორდინაციის პრობლემას ახლა დიდი როლი ენიჭება ეკონომიკის ყველა რგოლის, საერთოდ მთელი ჩვენი **სახალხო მეურნეობის** ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

მაისის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ სასურსათო პროგრამა არ არის მხოლოდ ძირეული შემობრუნება მარტოოდენ აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის აღმავლობაში. თავისი ხასიათითა და მასშტაბურობით, თქვა მან, პროგრამა მოწოდებულია უზრუნველყოს მთელი სახალხო მეურნეობის პროგრესი. და მაშასადამე, ჩვენ გვმართებს მივიჩნიოთ ეს დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური დოკუმენტი იმ მთავარი სტრატეგიული ამოცანის განსახორციელებლად მიმდინარე მუშაობის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად, რომლის მიზანია **დავძლიოთ საქართველოს სს რესპუბლიკის გარკვეული ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პარამეტრების მიხედვით.**

ამასთან დაკავშირებით ჩვენ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, ფინანსთა სამინისტროს, სხვა ორგანოების თანამშრომელ ამხანაგებს მივმართეთ თხოვნით დაეანგარიშებინათ ზოგი რამ.

მომავალ ათწლეულში დასახულია 8,8 პუნქტით შემცირდეს საქართველოს ჩამორჩენა ერთ სულ მოსახლეზე მრეწველობის პროდუქციის წარმოების საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით. აქედან 2,6 პუნქტს იმ პირობით, თუ მივაღწევთ სასურსათო პროგრამაში ჩაწერილ მიზნებს, უზრუნველყოფს კვების მრეწველობა.

ანდა, ავიღოთ მეორე მაგალითი. ჩაის, ყურძნისა და ხილის მოსავლიანობის გადიდება, ვთქვათ, 10 პროცენტით, დამატებით მოგვცემს 117 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციას, 173 მილიონი მანეთის მრეწველობის პროდუქციას. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დამატებითი მოგება შეადგენს 11 მილიონ მანეთს, სამრეწველო საწარმოებისა —15,8 მილიონს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გავზარდოთ წარმოებული ეროვნული შემოსავალი 110 მილიონი მანეთით და მეტად, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი — 19,2 მილიონი მანეთით, და, ბოლოს, რაც მთავარია, ერთი პუნქტით და მეტად შევამციროთ რესპუბლიკის ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით ერთ მცხოვრებზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით.

თუმცა, ზარალიც, ამხანაგებო, ასევე კომპლექსურად უნდა ვიანგარიშოთ.

ავიღოთ კონკრეტული მაგალითი. თითქოს უბრალო საკითხია ქობარის ჩაის ფაბრიკის მშენებლობა. საწარმო არ არის დიდი, მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,5 მილიონ მანეთზე ოდნავ მეტია. თითქოს ქვეყანა არ დაქცეულა იმით, რომ შარშან სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ და გაერთიანება „საქჩაიმ" ჩაშალეს მისი ამოქმედება. მაგრამ დასკვნებს გამოტანას ნუ ვიჩქარებთ.

მშენებლებმა თითქმის მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია დაკარგეს. ფაბრიკა რომ ამოქმედებულიყო, კვების მრეწველობა 8,2 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქციას მიიღებდა. საქონელბრუნვა 6,6 მილიონი მანეთით გაიზრდებოდა. ხოლო მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას დააკლდა დაახლოებით 10,8 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, ორი მილიონი მანეთი წმინდა შემოსავალი, აქედან — 1,8 მილიონი მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტის ანარიცხები.

და ეს მხოლოდ ერთ ობიექტზე! ახლა დაიანგარიშეთ, რამდენი გვიზარალია, თუ 1981 წელს მარტო კვების მრეწველობის ხაზით საექსპლოატაციოდ არ გადაცემულა 18 უფრო მსხვილი ობიექტი.

ბოსტნეულის ტრანსპორტირების ვადის თუნდაც ერთი დღით შემცირება შესაძლებლობას გვაძლევს პამიდვრის ყოველდღიური დანაკარგი შევამციროთ 60 ტონით, კომბოსტოსი — 50 ტონით, კიტრისა — 10 ტონით და ა. შ. ეს დაახლოებით ის რაოდენობა გახლავთ, რომელსაც საშუალოდ დღეში იღებს ჩვენი დედაქალაქი თბილისი. აბა, რაღა გვიჯდება ყოველ ჰექტარზე 67 კილოგრამი მარცვლეულის, 7,2 ცენტნერი კარტოფილის დანაკარგი?

აი, რატომ ხდება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების დიდმნიშვნელოვანი პირობა.

მეტი მზრუნველობა გვმართებს იმ დარგების განვითარებისთვისაც, რომლებიც, ერთი შეხედვით უშუალოდ არ უკავშირდება აგროსამრეწველო კომპლექსს. ავიღოთ, მაგალითად, კავშირგაბმულობა. როგორც რუსეთის სფს რესპუბლიკის ზოგიერთი ოლქის გამოცდილება გვიჩვენებს, მყარი სადისპეტჩერო კავშირის პირობებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის მწარმოებლობა იზრდება 20-25 პროცენტით, მეცხოველეობის პროდუქტიულობა — 5-10 პროცენტით. თითქმის ერთი-ორად კლებულობს მართვის სფეროს სპეციალისტთა დროის დანახარჯები.

ჩვენშიც არის ბევრი ასეთი მაგალითი, ვთქვათ, თელავის, ზოგიერთ სხვა რაიონში, სადაც საიმედოდ მოქმედებს სადისპეტჩერო სამსახური. იქ ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ოპერატიულად ვმართოთ ყველა პროცესი სოფლის მეურნეობასა და გადამმუშავებელ მრეწველობაში.

ეს კი ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარკვეულ ობიექტებზე წილობრივი მონაწილეობით თანამედროვე კავშირგაბმულობის ორგანიზაცია სულაც არ არის დარგიდან სახსრების გასხვისება. კაცმა რომ თქვას, ცნება „გასხვისება" უფრო მეტად ეთქმის იმ მილიონობით მანეთს, რომლის ათვისება, ჩვენში წლიდან წლამდე ვერ ხერხდება სოფლის მეურნეობის დარგში.

რესპუბლიკის მთელი სახალხო-სამეურნეო მექანიზმის მობილიზაცია, მისი ფუნქციონირების ოპტიმიზაცია ყველაზე მეტად მიმდინარე წელს გვჭირდება. თითოეულმა ჩვენგანმა ხომ კარგად იცის, რომ ეს არის განსაკუთრებული წელი, წელი, როდესაც ჩვენი ქვეყანა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს აღნიშნავს.

ლ. ი. ბრეჟნევმა ამოცანად დაგვისახა, რომ **სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის მიმდინარე მუშაობამ წელსვე გამოიღოს პირველი ნაყოფი.** არადა, წელი დაიწყო და, სამწუხაროდ, გრძელდება უაღრესად არახელსაყრელი ამინდის პირობები. ასეთი რამ არ ყოფილა.

ამხანაგებმა იციან, ჯერ ყინვისა და ჭირხლის შედეგად ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე დაიღუპა დიდძალი ცხვარი. შემდეგ ამას მოჰყვა ძლიერი წყალდიდობა დასავლეთ საქართველოს რაიონებში. და ბოლოს, მაისის არნახული სეტყვა ქართლ-კახეთის მეტ წილ რაიონებში.

წინასწარი განგარიშებით, სეტყვამ 100 ათას ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დააზიანა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ უკვე დაკარგა 250 ათასი ტონა ყურძენი.

სწორედ ასეთ პირობებში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება კარგ ორგანიზებულობას, ნებისყოფას, პროფესიულ ოსტატობას და ცოდნას, სწორედ ახლა გვმართებს მარჯვე ეკონომიკური მანევრი, რათა მაქსიმალურად შევამციროთ დანაკარგების გავლენა მთლიანად სახალხო მეურნეობის განვითარებაზე.

როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ფინანსთა სამინისტროს განგარიშებანი ცხადყოფს, ზარალი, რომელიც სტიქიონმა მოგვაყენა, შეამცირებს მთლიან საზოგადოებრივ პროდუქტს.

ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავუშვებთ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი განმაზოგადებელი მაჩვენებლების ტემპის შენელებას.

აქ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მრეწველობამ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მინისტრთა საბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სხვადასხვა რეგიონებში გაგზავნეს კომპეტენტური ბრიგადები. გამოანგარიშებულია, რომ ჩაის, ციტრუსის, დაფნის ფოთლისა და სხვა კულტურების წარმოების გადიდების გზით შევძლებთ დამატებით ვაწარმოოთ 65 მილიონი მანეთისაზე მეტი პროდუქცია. მრავლად გვაქვს რეზერვები ბევრ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოსა და გაერთიანებაში. დიდ იმედს ვამყარებთ აგრეთვე სხვა დარგებსა და საწარმოებზე.

უნდა დავრაზმოთ სოფლის მშრომელებიც. მევენახეებს ორჯერ მეტი სამუშაოს შესრულება მოუწევთ, ვიდრე ჩვეულებრივ. როგორც ყოველთვის, განსაკუთრებულ იმედს ვამყარებთ ჩვენს მეჩაიეებზე, რომლებიც არ ანელებენ ჩაის ფოთლის დამზადების ტემპს და ამასთანავე არსებითად გააუმჯობესებენ მისი ხარისხი. მაქსიმალურად გამოიყენონ ზაფხულის პერიოდი პირუტყვის პროდუქტიულობის გასადიდებლად, — ეს არის ჩვენი მეცხოველეების ამოცანა.

უნდა გავაძლიეროთ ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უკანონო გატანის აღსაკვეთად.

უნდა გავამძაფროთ ბრძოლა პროდუქტების მიტაცებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ სოფლის მეურნეობაში, გადამამუშავებელ და სხვა დარგებში.

საჭიროა ნიადაგ გვახსოვდეს, რომ **თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა წარმატებით დავაგვირგვინოთ ქვეყნის საიუბილეო წელი, მტკიცე საფუძველი შევუქმნათ სასურსათო პროგრამის რეალიზაციას**, და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული წარმატება ამ საქმეში.

კიდევ ერთხელ ნათლად უნდა შევიგნოთ ერთი მარტივი აზრი: იმისათვის, რომ უკეთ ვიცხოვროთ, საჭიროა უკეთ ვიმუშაოთ, ყოველნაირად ვილაწოთ ჩვენი საზოგადოებრივი სიმდიდრის გასამრავლებლად. აი რატომ ვამბობთ: **სასურსათო პროგრამა, რომლის მიზანია ხალხის კეთილდღეობა, ჭეშმარიტად საერთო-სახალხო საქმე, საერთო-სახელმწიფოებრივი საზრუნავი უნდა გახდეს.**

III. სრულვყოთ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ფორმები და მეთოდები

სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა გულისხმობს საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას და წარმოებითი ურთიერთობების სრულყოფას. აქედან გამომდინარეობს თანამედროვე ეტაპზე პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელების გზები და მეთოდები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების ქვეყანაში დამკვიდრებული მართვის სისტემა მეტისმეტად მოუხეშავი და დაქსაქსულია, ველარ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, აძნელებს ხელმძღვანელობას. ამასთან დაკავშირებით პლენუმმა დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მართვის გაუმჯობესების შესახებ". რაიონებში, ოლქებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში იქმნება აგროსამრეწველო გაერთიანებები, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებსა და ცენტრში — აგროსამრეწველო კომისიები.

ეს სისტემა ბევრი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს, მეცნიერისა და სპეციალისტის მრავალი წლის ბეჯითი შრომის, ამ მრავალი იდეის შედეგია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწონებით რომ ეწყობოდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ, საქართველოშიც.

ძალზე სერიოზულ დახმარებას გვიწევდა და გვიწევს აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირებაში საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პირადად მინისტრი ამხ. ვალენტინ კარპეზის ძე მესიაცი. თქვენ, ვალენტინ კარპეზის ძევ, ალბათ, კარგად გახსოვთ, ჩვენ ამაზე გვისაუბრია კიდეც, რომ სამინისტროს აპარატის ბევრი პასუხისმგებელი მუშაკი არაერთხელ გვწვევია რესპუბლიკაში, მოუცია სასარგებლო რჩევა-დარიგება, აღებულა გადაწყვეტილება ბევრი საკითხი. ერთი სიტყვით, უაღრესად აქტიური როლი შეასრულეს ყველა ჩვენს წამოწყებაში. ყველა ჩვენი ექსპერიმენტი დაწყებამდე იყო განხილული სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებში — ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის, პროპაგანდის, სოფლის მეურნეობის, საგეგმო-საფინანსო ორგანოებისა და სხვა განყოფილებებში. ჩვენი ექსპერიმენტები ყურადღებით შეისწავლეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, განზოგადებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე.

მოგეხსენებათ, რომ ეს ჩვენს საერთო კოლექტიურ შრომას ეხებოდა ლ. ი. ბრეჟნევის მაღალი შეფასება, როცა მან ერთი წლის წინათ საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე აღნიშნა, რომ „ქვეყანაში ყურადღებით ადევნებენ თვალს საინტერესო ექსპერიმენტებს, რომლებიც რესპუბლიკაში უწყობა". ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე ჩვენ კიდევ ერთხელ ვიგრძენით ეს, როცა პლენუმს მოეახსენა ჩვენი მართვის ორგანიზაციულ გარდაქმნაზე, უკვე რომ განხორციელდა რესპუბლიკის ყველა რაიონში, მოვახსენეთ სოფლად შექმნილ ახალ სამეურნეო მექანიზმზე.

თქვენ იცით, რაზეა ლაპარაკი. გაუქმდა ტრესტები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, „საქსასოფლოტექნიკის" ქვედანაყოფები, მელიორაციის სამმართველოები, გადამამუშავებელი მრეწველობა პარტნიორობისა და კოოპერაციის საფუძველზე შევიდნენ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი სისტემა უფრო სრულად შეესაბამება საწარმოო ძალების განვითარების ახლანდელ დონეს და ყველა რგოლის ეფექტიან დინამიურ შრომისათვის.

რესპუბლიკაში მოქმედებს მართვის ახალი მექანიზმი ძირითადად იმგვარი, როგორიც დანერგვა დასახულია მთელ ქვეყანაში. მაშასადამე, ჩვენ უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ პირველ შედეგებზე, მეტადრე **რაიონულ რგოლში.**

ამ პლენუმის წინ ჩვენ ვიყავით ზოგიერთ რაიონში, შევხვდით გაერთიანების, აგრეთვე მასში შემავალი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ვესაუბრეთ პარტიის რაიკომების მდივნებს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს და სხვა მუშაკებს. ზოგიერთი ამხანაგი მოვიდა ცენტრალურ კომიტეტში, იყო განყოფილებებში, ცენტრალური კომიტეტის მდივნებთან.

რა შეიძლება ითქვას ამ შეხვედრებზე? ცხადი გახდა, რომ საერთოდ ჩვენში რაიონული გაერთიანებანი სწორად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა გეზისამებრ ყალიბდება. ეს არის **პირველი დასკვნა**, რომელიც დღეს შეგვიძლია გამოვიტანოთ.

მეორე დასკვნა: გაჩნდა ახალი ტიპის ხელმძღვანელი, რომელიც მასშტაბური კატეგორიებით აზროვნებს, ყველა პრობლემას კომპლექსურად წყვეტს, შეგნებული აქვს, რომ პასუხისმგებლობა აკისრია არა მარტო მიწისათვის, არამედ აგრეთვე რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა, ხაზს ვუსვამ, ყველა დარგის მდგომარეობისათვის. ახლა ბევრს გაუჩნდა დამოუკიდებელი მუშაობის, სახსრების, ინიციატივის გამოჩენის, დამატებითი რეზერვებისა და შემოსავლის წყაროების გამოძებნის წადილი. აქ უკანასკნელი როლი როდი შეასრულა ძირითად რაიონებში გაერთიანებათა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანამ: ეს ყველა ხელმძღვანელს აიძულებს ყაირათიანი მეურნე იყოს.

მართალი გითხრათ, სასიხარულო შთაბეჭდილება დამრჩა გორის რაიონში, სადაც სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე ამხ. ვ. ი. ხუციშვილი, ამ მუშაკს გამოცდილი აქვს, ასე ვთქვათ, „აბაშური სკოლა". მოკლე ვადაში გორელმა ამხანაგებმა პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობით საკმაოდ ბევრი რამ მოასწრეს და, რაც მთავარია, შეძლეს განესაზღვრათ, რას უნდა დაეთმოთ ძირითადი ყურადღება — სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემებს. მისი გადაჭრის გორელებმა აქ მთლიანად მიბაძეს აბაშურ გამოცდილებას.

თქვენ კარგად იცით, რაოდენ დიდი ფენომენი პოვა მექანიზატორთა წახალისების სისტემამ, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ დაინერგა აბაშის რაიონში. აბაშელები არც ამას დასჯერდნენ. მათ უზრუნველყვეს სიმინდის თესვა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია და შექმნეს ორი უკანონო ბრიგადა 10-10 მექანიზატორის შემადგენლობით, რომლებსაც 1000-1000 ჰექტარი სიმინდის ყანა მიუჩინეს. მათ ნავარაუდევი აქვთ საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერი მარცვლეული მოიწიონ. სწორედ ასეთი მაღალი ვალდებულება აიღეს მიზნად და, რა თქმა უნდა, საჭიროა ჩვენც ჯეროვნად წავახალისოთ ისინი მატერიალურადაც და მორალურადაც.

სწორედ ასე მაჩნიათ გორის გაერთიანებაშიც. აქ უკვე 40 მექანიზატორმა მიიღო „მოწინავე მექანიზატორის" საპატიო მოწმობები, რომელიც ბევრ შეღავათს იძლევა. არის შედეგიც: პირველად მოხდა, რომ გორის რაიონში სიმინდისთვის გამოყოფილი მთელი ფართობი ინდუსტრიული ტექნოლოგიით დაითესა. ასევე პირველად ინერგება კომპლექსური მექანიზაცია ჭარხლის, ლობიოსა და სხვა კულტურების წარმოებაში.

შესაბამისად გაერთიანებას დიდი გეგმები აქვს დასახული ხილის წარმოების გასაზრდელად, მთის სათიბ-საძოვრების ათვისებისთვის, მიტოვებული სოფლების აღსადგენად. დაწყებულია ლიახვის ხეობის ათვისება, სადაც სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში უნდა მოაქციონ 1000 ჰექტარზე მეტი მიწა. აქ კი, მოგეხსენებათ, უნიკალური მიწებია. გაერთიანება და მისი ხელმძღვანელობა სულ უფრო მეტ აქტიურობას იჩენენ რაიონში.

განსაკუთრებით სასარგებლოა ჩაუფიქრდნენ ამას ის ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ფუნქციონირების ფუძემდებელი პრინციპების — პარტნიორობისა და კოოპერაციის არსსა და მიზნებში.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს დღეს გარდაბნელ ამხანაგების საქმიანობაც, სადაც ჩვენ გაერთიანების თავმჯდომარედ მივავლინეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ტ. ს. ურუშაძე. მისი მოსვლის შემდეგ აქ ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისაკენ, უწინარეს ყოვლისა, მუშაობის მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შედეგად. გარდაბანში პარტიის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობით შემუშავებული და უკვე ხორციელდება პრაქტიკულად ძალზე თამამი და დამაბული საკუთარი სასურსათო პროგრამა. ამხანაგები აპირებენ ხუთწლედის დამლევამდე გააორკეცონ ხორცის, რძის, კვერცხის, ბოსტნეულის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ მეურნეობებში ახლა საქმით დარწმუნდნენ: სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანება — ეს არის ყველაზე ამთვისებელი და ხელმისაწვდომი მართვის ორგანო, სადაც საქმის გაუბიუროკრატებლად შეიძლება გადაწყდეს ყველა პრობლემა.

ეფექტიანად მუშაობენ დღეს ზუგდიდის, მარნეულის, ახალციხის, ზესტაფონის, ქობულეთის, სამტრედიის, გურჯაანის, ლენინგორის, ლაგოდეხის, საგარეჯოსა და სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებები. ადარას ვამბობ აბაშისა და მახარაძის რაიონებზე, რომლებიც გამოცდილების საფუძვლად ავიღეთ. აქ ამხანაგები ყოველმხრივ ზრუნავენ უშუალოდ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, თამამად ეძებენ და პოულობენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების მოცულობის ზრდის შესაძლებლობებს, ქმნიან საკუთარ სამშენებლო ბაზას, ხალისით ნერგავენ მეცნიერების მიღწევებს და მოწინავე გამოცდილებას, საქმიანი პარტნიორობის უფლებებით აბამენ ამ მეურნეობაში სამეცნიერო დაწესებულებებს და ა. შ.

და მაინც, მართვის ახალი ორგანოების ჩამოყალიბების პროცესს ერთიანზე გადაწყვეტების გზით ვერ უზრუნველვყოფთ. ცენტრალური კომიტეტის, პლენუმის წინა შეხვედრებმა ცხადყო: იქ, სადაც **პარტიის რაიონული კომიტეტებმა და აღმასკომებმა, პირადად რაიკომების პირველმა მდივნებმა სწორად გაიგეს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მართვის მოწინავე გარდაქმნის მთელი მნიშვნელობა, ჯეროვანი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მართვის ახალი ორგანოების ფორმირების საკითხებს, იქ დიდი ძალზე დამამედებელი შედეგები აქვთ, და ამ რაიონების გაერთიანებანი სრული ძალით მუშაობენ.** და პირიქით: იქ, სადაც ადგილობრივი პარტიული ორგანოები ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების მკვეთრი გაუმჯობესების ნაცვლად ძველებურად განაგრძობენ, სამეურნეო ხელმძღვანელთა მეურვეობას ან მაგივრობას, გაერთიანებანი ნელა ყალიბდება, ზოგან კი საერთოდ გაიყინა სამოქმედო სამეურნეო დონეზე.

ჯერ კიდევ არ გარდაუქმნია თავისი მუშაობა ახალი მოთხოვნების შესაბამისად ზოგიერთ ჩვენს უწყებას, სამინისტროს. ისინი ნაკლებად კონტაქტირებენ გაერთიანებებთან, არ ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მითითებებს. შეხვედრებზე საკმაოდ ბევრი პრეტენზია გამოითქვა ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მიმართ, რომელსაც არ აღუდგენია რაიონებში თავისი საწარმოების დამოუკიდებლობის სტატუსი. ბევრი მათგანი კვლავინდებურად ექვემდებარება თბილისის საწარმოებს, რაც აძნელებს კოორდინაციას. ჩვენი მინისტრი ამხ. ა. ი. მოვსესიანი პროგრესულ, ოპერატიულ ხელმძღვანელად მიგვაჩნია. მან, ჩვეულებრივ, ძალიან სანდო რესპ, ჭკვიანური გამოსვლები აქვს. ვფიქრობთ, იგი გამონახავს ამ საკითხების გადაწყვეტის საშუალებას, რათა ასეთივე საინტერესო იყოს მისი პრაქტიკული საქმეებიც.

ასევე სწორი იქნება, თუ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო შეიმუშავებს სპეციალურ გადაწყვეტილებას, რომელშიც განსაზღვრავს გაერთიანებათა ცენტრალიზებული ფონდების სახსრების ამენებული საწარმოების ფუნქციონირების წესს. ჩვენი აზრით, ყველაზე მიზანშეწონილი იქნება ისინი სამეურნეოთაშორისო საწარმოებად გარდავქმნათ, ხოლო მიღებული მოგება პარტნიორებს შორის განაწილდეს შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე.

მთელ რიგ რაიონებში, — ქარელის, ცხინვალის, მანგლისისა და ზოგიერთ სხვა რაიონში — ჭიანურდება მართვის ახალი ორგანოების აპარატების ფორმირება. აქ ზოგან რაიონული სასოფლო-სამეურნეო სამმართველოების რეორგანიზაციას შედეგად გადიდებული კი თითქმის არაფერი შეცვლილა. ცხადია, ასეთ გაერთიანებათა უკეგეთ დღისდღეობით არ არის დიდი. სწორედ ამიტომ, დღეს, ამხანაგებო, უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ ამ რგოლში რესპუბლიკური ორგანოებისა და უწყებების სპეციალისტები. აქ კიდევ საჭიროა, როგორც ამ პრობლემებს გადაჭრას უშუალოდ, უფრო საგნობრივად მოეკიდონ ხელი პარტიის რაიკომებმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიცია ამ თათბირზე კარგად არის ცნობილი — **რაიონული გაერთიანების დაკომპლექტებული უნდა იყოს საქმის მცოდნე, კომპეტენტური და ავტორიტეტიანი მუშაკებით, მათ შორის რესპუბლიკური რგოლის ხარჯზე.**

ჩვენ არ გამოვრიცხავთ, ექსპერიმენტის წესით, გაერთიანებათა შემადგენლობაში მეურნეობებისა და ორგანიზაციების ზოგიერთი ფუნქციის და სამსახურის ცენტრალიზაციასაც. ეს ნათქვამია, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში.

მთელ ამ მუშაობის კოორდინაციას უნდა უწევდეს და წარმართავდეს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საბჭო. აღმოჩნდებოდა პარტიული და საბჭოთა ორგანოებს ახლა რაიონული გაერთიანებების საქმიანობაში ჩაერია ყველა დარგის ინტენსიფიკაცია, და სახლოდ ანგარიშით, სასურსათო პროდუქტების წარმოების გადიდება.

უნდა ითქვას, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შემდეგ ბევრი სადავო საკითხი, რომელიც ადრე გადასაწყვეტად ამხანაგებს წინაშე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ან ჩვენს, ცენტრალურ კომიტეტს, მოეგვარებოდათ, ახლა, ასე ვთქვათ, ადგილზე წყდება.

ამასთანავე ჩვენ დავგვირდება მთელი რიგი პრობლემებიც. საუწყებათაშორისო საბჭომ — ეს საკუთარი აქ არა, სერიოზული, — უკეთ უნდა განსაზღვროს თავისი ადგილი, იპოვოს თავისი სახე, რათა არ აწყვიდეს მინისტრთა საბჭოს დუბლირებას, სამინისტროებისა და უწყებების მაგივრობას.

უწინარეს ყოვლისა, მთავარია შევიგნოთ, რომ საბჭოს არ შეუძლია და არც არის მთავარი გადაწყვიტოს სამინისტროებისა და უწყებების ურთიერთობის პრობლემები ზოგიერთ მიმდინარე საკითხები.

მეორე საკითხი ეხება საბჭოს ურთიერთობას რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებთან. აქ საბჭომ ასევე უნდა ითამაშოს პარტნიორთა შორის წამყვანი როლი მხოლოდ პრინციპული სადავო საკითხების გადაწყვეტა, ოპტიმალური, ყველა პარტნიორისათვის მისაღები გამოსავალის გამონახვა.

(გაგრძელება მე-3 გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი

(გაგრძელება)

უეჭველია, რაიმე საბოლოო რეკომენდაციის დასახვა დღესდღეობით ალბად ნაადრევი იქნება. მაგრამ გვინდა გამოვთქვათ რწმენა, რომ საბჭოს მუშაობის სტილი და მეთოდები კვლავ და კვლავ დაიხვეწება. ისე უნდა მოვიქცეთ, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ამ რგოლშიც ჩვენი გამოცდილება გარკვეული თვალსაზრისით საჩვენებელი გახდეს.

მართვის ახალი სისტემის დანერგვამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეუმჯობესებინა აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა ძირითადი შემადგენელი ნაწილის, ყველა დარგის **კოორდინაცია**. მაგრამ ახლა მარტო ეს აღარ კმარა. სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციისათვის უნდა ვილვაწოთ ეკონომიკის ამ სექტორში შემავალი დარგების უფრო მეტი ინტეგრირებისათვის.

თანამედროვე პირობებში, როცა ჩვენთან ყოველ რაიონშია შექმნილი ავტორიტეტული ორგანოები, რომლებსაც უნარი შესწევთ კვალიფიციურად უხელმძღვანელონ აგროსამრეწველო კომპლექსს, უდავოდ გვმართებს სასოფლო მშენებლობის მექანიზმის დახვეწაც.

დღეს არავის ეჭვს აღარ იწვევს, რომ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება რაიონის მასშტაბით უნდა გეგმავდეს კაპიტალურ მშენებლობას. აქ უნდა შემუშავდეს ყოველწლიური გეგმები, რომლებიც შემდეგ დაეგზავნებათ შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, და წარედგინება რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

გამოთქვამენ წინადადებებს იმის თაობაზეც, რომ მოვახდინოთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთიანი შემკვეთის არსებული სისტემის ერთგვარი ცვლილებები და ყოველ რაიონში, უწინარესად კი ჩვენს დიდ რაიონებში, შევქმნათ მისი შესაბამისი რგოლები. თანაც, ბევრი ამხანაგის აზრით, ერთიანი შემკვეთის რაიონული რგოლი იკისრებდა ამ ფუნქციებს სასურსათო პროგრამის რეალიზაციის მონაწილე სხვა დარგებშიც. რა თქმა უნდა, ეს უნდა კეთდებოდეს თანდათან, ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ.

უნდა გადავწყვიტოთ ისიც, თუ რომელი სამშენებლო ქვეგანაყოფები როგორი უფლებებით შედიოდნენ რაიონულ გაერთიანებათა შემადგენლობაში. ესეც პრინციპული საკითხია. ნავარაუდევია, კერძოდ, გაერთიანებაში შეყვანილ იქნენ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მოძრავი მექანიზებული კოლონები და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც სამუშაოებს მოცემულ რაიონში ასრულებენ და მის ტერიტორიაზე არიან დისლოცირებული. თითოეული რაიონი, ჩვენი აზრით, სასურსათო პროგრამით უნდა ითვალისწინებდეს ღონისძიებებს, თუ როგორ გააფართოოს შემდგომ სამშენ მასალათა წარმოება ადგილობრივი ნედლეულისა და მოქმედ წარმოებათა ნარჩენების ბაზაზე. ამხანაგებმა სასოფლო მშენებლობის სამინისტროდან ასევე წამოაყენეს საინტერესო წინადადება — ორ-სამ რაიონში, ექსპერიმენტის წესით, ყველა ობიექტის მშენებლობა განხორციელდეს ისე, რომ მობინადრეებს ჩაბარდეს გამზადებული ნაგებობა, ამასთან თვით მშენებლებს დაეკისროთ შემკვეთისა და მაკომპლექტებელი ორგანიზაციის ფუნქციები.

ერთი სიტყვით, პრობლემები მრავლად არის და ისინი, რა თქმა უნდა, უფრო დეტალურ შესწავლას მოითხოვს. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ხელი უნდა მოჰკიდოს მათს გადაწყვეტას და შეიმუშაოს შესაბამისი წინადადებანი.

უსათუოდ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი რამ. უკანასკნელ ხანს ზოგიერთი ამხანაგი წინადადებას იძლევა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები სასოფლო მშენებლობის სამინისტროდან სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემას გადაეცეს. ისინი გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება აღნიშნული ორგანიზაციების დაახლოება კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან. სხვათა შორის, ამ ორგანიზაციების მეპაიეებს კვლავინდებურად წარმოადგენენ რაიონების მეურნეობები და, მაშასადამე, ისინი არსებითად რაიონული აგროგაერთიანების სისტემაში არიან.

ეს უბრალო საკითხი როდია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ არ უნდა ვიჩქაროთ დასკვნების გამოტანა. სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში არსებითად, ორმაგი დაქვემდებარების პირობებში, „საქკოლმშენმა" მნიშვნელოვნად განიმტკიცა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მკვეთრად შემცირდა შრომატევადობა და გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ეს დიდმნიშვნელოვანი ძვრებია. ეტყობა, აჯობებს ეს საკითხი კომპლექსურად გადაწყდეს, იმ პრობლემებთან ერთად, რომელთა შესახებაც წეღან ვილაპარაკეთ.

ამასთანავე, ჩვენ მეტი ყურადღება გვმართებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მშენებლობის სამეურნეო წესის შემდგომი განვითარების მიმართ.

უაღრესად სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს საკითხები, რომლებიც ეხება აგროსამრეწველო გაერთიანებების ინტეგრირებას „საქსახსოფლტექნიკის", მელიორაციის, დამზადების სისტემის ორგანიზაციებთან.

რესპუბლიკის დამზადების სამინისტრო დღეს დიდ და ქმედით დახმარებას უწევს აგროსამრეწველო გაერთიანებებს კომბინირებული საკვების გამომშვებ სამეურნეობათაშორისო და შიდასამეურნეო წარმოებათა შექმნის საქმეში.

ჩვენი აზრით, საინტერესო ექსპერიმენტები ეწყობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კონცენტრირებისათვის აბაშის, გორის, ლანჩხუთის, წალკისა და ზოგიერთ სხვა რაიონში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „საქსახსოფლტექნიკის" ყველაზე აქტიური მონაწილეობით, თანაც, ამხანაგები სხვადასხვაგვარად უდგებიან საქმეს. თუ აბაშასა და გორში კონცენტრაცია ხორციელდება სოფლტექნიკის ორგანიზაციათა ბაზაზე, ლანჩხუთსა და წალკაში ეს სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებში ხდება. „საქსახსოფლტექნიკის" თავმჯდომარე ამხ. დ. ე. სარიშვილი, ეს განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, თავიდანვე სწორ, პროგრესულ გზას დაადგა ამ საქმეში.

მელიორაციის სამსახურებთან სასოფლო-სამეურნეო წარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინტეგრირების ანალოგიური ექსპერიმენტები დაიწყეს წელს საგარეჯოსა და მცხეთის რაიონებში მეცადინეობის კოორდინაციის თაობაზე. საინტერესო წინადადებანი შემოვიდა კოლხეთის დაბლობის ათვისებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ეს ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემებია, და ბევრ მათგანზე ამომწურავი პასუხის გაცემისა და შეფასებისათვის მზად არა ვართ ამ პლენუმზე. ალბათ, ამხანაგები არც მოელიან მათ ასე უცბად. ჯერჯერობით ცხადია ერთი რამ: ამ ძიების მიზანია მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევა, და ამიტომ, ვფიქრობ, საჭიროა კვლავაც გაგრძელდეს ისინი, შემოწმდეს პრაქტიკულად. მერე კი ცენტრალურ კომიტეტში უნდა მოვიწვიოთ სპეციალური რესპუბლიკური თათბირი სოფლტექნიკისა და მელიორაციის ქვეგანაყოფებთან, სამშენებლო ორგანიზაციებთან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინტეგრირების საკითხებზე.

როცა ინტეგრაციაზე ვლაპარაკობთ, უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ყოველდღიური პრაქტიკა ასტიმულირებს ამ, ჩვენი აზრით, ობიექტურ პროცესს. ამ ცოტა ხნის წინათ ანჩიგარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში პოლიტსწავლების სისტემაში გამართულ მეჯამებელ მეცადინეობაზე მსმენელებმა წამოაყენეს წინადადება: ექსპერიმენტის წესით შექმნან კომპლექსურ-მექანიზებული სამეურნეოანგარიშიანი აგროსამრეწველო ბრიგადა, რომელიც ჩაის ფოთლის მექანიზებულ კრეფასაც იკისრებს და მის გადამუშავებასაც საბჭოთა მეურნეობაში ახლახან აშენებულ მიკროფაბრიკაში. ამრიგად, ეს ბრიგადა დამოუკიდებლად განახორციელებს მთელ ტექნოლოგიურ ციკლს — ჩაის კრეფას, ტრანსპორტირებას, პირველად გადამუშავებას, დახარისხებას და მზა პროდუქციის გაგზავნას. მაშასადამე, ძნელი არ იქნება, კოლექტივში შრომის ანაზღაურება დაუკავშირდეს არა მარტო მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობას, არამედ საბოლოო პროდუქციის ხარისხსაც, ანუ საბოლოო შედეგებს. უდავოდ საინტერესო თაოსნობაა.

ჩემი აზრით, უნდა მოგვესინჯა შრომის ორგანიზაციის ასეთი ფორმა რამდენიმე ჩაის მეურნეობაში და გვეფიქრა მის გამოყენებაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგებში. ერთი კია, ეს პროცესი საკმაოდ რთულიც არის და საკმაოდ ხანგრძლივიც. ერთსა და ორ წელიწადში ინტეგრაციის, შერწყმის ამოცანას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ.

საუწყებო ინტერესების უკეთ დაკავშირება და დაქვემდებარება საერთო მიზნის — მაღალი საბოლოო შედეგისათვის გვჭირდება მართვის უფრო მაღალ რგოლებშიც. არადა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს დღესდღეობით ჯეროვნად ვერ გაუგია ყველა სამინისტროსა და უწყებას. საგულისხმოა ამ მხრივ იგივე „საქჩაის" გაერთიანების ხელმძღვანელობის პოზიცია, რომელიც, თუ მისი ბრძანებებით ვიმსჯელებთ, იმისათვის იღვწის, რომ რაიონულ გაერთიანებათა ცენტრალიზებული ფონდების სახსრები, უწინარეს ყოვლისა, ჩაის ფაბრიკების რეკონსტრუქციის და მოდერნიზაციის ხმარდებოდეს. ამავე დროს ამ ფაბრიკებს თავიანთი მოგების ნაწილი ცენტრალიზებულ ფონდში არ შეაქვთ.

მაგალითად, ზუგდიდის ჩაის ფაბრიკების გაერთიანებამ შარშან თითქმის 12 მილიონი მანეთი მოგება მიიღო და რაიონულ გაერთიანებას მხოლოდ 47 ათასი მანეთი გადაურიცხა. აქ ინსტრუქციებს იმიზეზებენ. მაგრამ ინსტრუქციები სადღეისოდ აშკარად მოძველდა და ისინი, ალბათ, უნდა გადაისინჯოს. პარტნიორობა ჭეშმარიტად საქმიან საფუძველს უნდა ემყარებოდეს.

სწორედ ამიტომ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირების, მისი სამმართველო და ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი სრულყოფისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ზუსტად გვესმოდეს ამ დიდმნიშვნელოვანი პროცესის საბოლოო მიზანი. ეს მიზანი კი ის არის, რომ, როგორც მაისის პლენუმზე თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, უზრუნველვყოთ ქვეყნის შეუფერხებელი მომარაგება სურსათით.

ეს იოლი საქმე არ არის, ეს შემოქმედებითი საქმეა. ჩვენც შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ მას და ყველაფერი ვიღონოთ, რათა ადამიანებს დიდნაყოფიერი შრომის პირობები შევუქმნათ, ყოველნაირად წავახალისოთ ასეთი შრომა.

IV. უპირველესი ეკონომიკური ამოცანა

ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ სასურსათო პროგრამის რეალიზაცია — **უპირველესი ეკონომიკური, აგრეთვე აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური** ამოცანაა.

ეს ამოცანა **ეკონომიკურია** იმიტომ, რომ ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება საკვები პროდუქტებით ქვეყნის მოსახლეობის რაც შეიძლება მოკლე ვადაში სამედო უზრუნველყოფისათვის, მიზნად ისახავს, უწინარეს ყოვლისა, უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. ხოლო ამ პრობლემების გადასაჭრელად გვმართებს რაც შეიძლება უკეთ გამოვიყენოთ მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის **ეკონომიკური მექანიზმი**, გავაძლიეროთ ისეთი **ეკონომიკური ბერკეტების** მასტიმულირებელი როლი, როგორიც არის ფასი, მოგება, კრედიტი.

მეურნეობის ეფექტიანობის, რენტაბელობის საკითხებს საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირების, მისი მაღალი საბოლოო შედეგების უზრუნველყოფის პირობებში. სხვა დოკუმენტებთან ერთად პლენუმმა დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ".

კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, როგორც ითქვა, მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საძირკველს შეადგენენ და სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რომ მათი საქმიანობის, კერძოდ, **ხაფინანსო** საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს დღეს უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება.

იმ სოლიდურ ღონისძიებათა მეოხებით, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ, სოფლის მეურნეობა და რესპუბლიკის გადამამუშავებელი მრეწველობის ძირითადი დარგები საერთოდ რენტაბელურად მუშაობენ. ეს მოწმობს, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეკონომიკური მუშაობა სოფლად.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, რენტაბელობის ამაღლების ყველაზე ეფექტიანი ფორმაა მეურნეობის მაღალრენტაბელურ გაძღოლა. სხვათა შორის, ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებში მარჯვე, მზრუნველი მეურნეობრიობის მრავალი მაგალითი.

სტაბილურად მაღალია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების რენტაბელობა გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში.

ამ კოლმეურნეობის მეურნეობრიობის პირობები არაფრით არ განსხვავდება გორის რაიონის მეტ წილ მეურნეობათაგან, მაგრამ, მოდით, შევადაროთ მაჩვენებლები. შარშან კოლმეურნეობამ მსხმოიარე ბაღების ყოველ ჰექტარზე 129,6 ცენტნერი ხილი მიიღო დაგეგმილი 106 ცენტნერის ნაცვლად, ხილის საშუალო მოსავლიანობა კი რაიონის კოლმეურნეობებში 43,5 ცენტნერს არ აღემატებოდა. წველადობამ ერთ საფურაჯე ძროხაზე ტყვიავში შეადგინა 3,649 კილოგრამი, რაიონის კოლმეურნეობებმა კი საშუალოდ მიიღეს 2.121 კილოგრამი. და ბოლოს, საერთო შედეგი: კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში მეურნეობის რენტაბელობის დონე შეადგენს 40 პროცენტს, რაიონში 7,2 პროცენტს.

კარგ შედეგებს აღწევენ ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ბევრი სხვა მეურნეობა, რომლებიც მაღალრენტაბელურად მუშაობენ.

ამასთანავე, გვაქვს სულ სხვაგვარი, დიამეტრულად საწინააღმდეგო მაგალითებიც. სერიოზული ნაკლოვანებანია თიანეთის რაიონის სამეურნეო საქმიანობაში, სადაც გასული ხუთწლედის მანძილზე ვერც ერთმა მეურნეობამ და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციამ ვერა და ვერ დააღწია თავი ზარალს. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა შექმნა ცხინვალის რაიონშიც. ბევრი ზარალიანი მეურნეობაა თეთრი წყაროს, ახალციხის, ადიგენის, ონის, ზნაურის, ჯავისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

რა თქმა უნდა, ხშირად მეურნეობათა ზარალიანობას განაპირობებს ობიექტური მიზეზები — მეურნეობრიობის ძნელი პირობები, ცუდი ამინდი, სტიქიური უბედურება, რთული რელიეფი და ა. შ.

მაგრამ, მოდით, განვაზოგადოთ: მეურნეობათა ნორმალურ მუშაობას ძირითადად აბრკოლებს წმინდა სუბიექტური ფაქტორები, მაგალითად, არაკომპეტენტური ხელმძღვანელობა. ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის პირობებს განსაკუთრებით მძიმე არ ეთქმის. მაშ, რით აიხსნება, რომ უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს მილიონ მანეთზე მეტი აზარალა?! ვფიქრობ, მხოლოდ და მხოლოდ მის ხელმძღვანელთა უთავარიგობით. და აი რატომ: ამ ცოტა ხნის წინათ რესპუბლიკის პროკურატურამ შეამოწმა ამ მეურნეობისა და ახმეტის რაიონის სხვა საბჭოთა მეურნეობების მუშაობა და გამოავლინა უყაირათობის, მფლანგველობის აღმაშფოთებელი ფაქტები.

ვაი, რომ, მეურნეობების, ის კი არა, რაიონების ბევრი ხელმძღვანელი ზარალიანობის მიზეზს ეძებს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური და საბუღალტრო სამსახურების მუშაობის ნაკლოვანებებში. რაკი ზარალია, ფიქრობენ ისინი, მაშასადამე, ეს უწინარეს ყოვლისა, ბუღალტრების ბრალიაო. ჰოდა, ბუღალტრებიც დახნეს. მე ვიტყოდი, რომ ეს მანკიერი პრაქტიკაა. დიახ, სწორია. ბუღალტერია მართლაც არის „მეურნეობის სარკე", და თუ იგი მხოლოდ მანკიერებებს გამოხატავს, სულაც არ არის სავალდებულო დაამსხვრიო ეს სარკე. ეს სარკის ბრალი კი არ არის, იმათი ბრალია, ვინც სარკესთან დგას, მათი არაორგანიზებულობის, არაკომპეტენტურობის, უპრინციპობის, ზერელობის ბრალია.

რაკი სიტყვა ჩამოვარდა საბუღალტრო და ეკონომიკური სამსახურების მდგომარეობის საკითხზე, მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი სამსახურები აგროსამრეწველო გაერთიანებებშიც იქმნება. უკვე მოგახსენეთ, რომ მთლიანად რაიონულ რგოლში ბევრი კარგი ცვლილება გვაქვს. ვესაუბრეთ ამხანაგებს და ვიგრძენით, როგორ ამაღლდა ჩვენი კადრებიდან ბევრის კვალიფიკაცია. მაგრამ აი, ჯერი მიდგა საგეგმოსაფინანსო განყოფილების ხელმძღვანელზე, მთავარ ბუღალტერზე, და ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ბევრი მათგანი მოძველებული კატეგორიებით აზროვნებს.

თუ ნამდვილად გვინდა მოვაგვაროთ პარტნიორობა, თუ სერიოზულად გვინდა, რომ ყველა ჩვენი მეურნეობა რენტაბელურად მუშაობდეს, და ყველა დარგი დაინტერესებული იყოს მაღალი საბოლოო შედეგებით, უწინარეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ ყველა ეკონომიკური სამსახურის მუშაობის სერიოზული გარდაქმნისათვის, რესპუბლიკური სამინისტროების აპარატებში მოქმედი სამსახურებით დაწყებული და ცალკეულ მეურნეობათა სამსახურებით დამთავრებული. ამასთან დაკავშირებით ველით კონკრეტულ წინადადებებს ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი განყოფილებებისაგან.

ჩვენ საგანგებოდ დავსვით მწვავედ ეს პრობლემა, რადგან იგი ყველას ძალიან გვაწუხებს: რესპუბლიკას ყოველწლიურად აკლდება დაახლოებით 45-63 მილიონი მანეთი მოგება. უკანასკნელ ხანს საშუალოდ 300-ზე მეტი ჩვენი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაცია ზარალით ამთავრებს სამეურნეო წელს.

ეს ციფრები გაცილებით დიდი იქნებოდა, განხორციელებული ღონისძიებანი რომ არა. თქვენ იცით, რომ რესპუბლიკაში კარგა ხანია მოქმედებს მოგების ნაწილის გადანაწილების სისტემა, რაც ეკონომიკურად სუსტი მეურნეობებისადმი ფასნამატების გზით ხორციელდება.

სამისო ფონდი ყალიბდება მაღალრენტაბელური კულტურების შესასყიდი ფასების ჩამოკლების ხარჯზე. ჩვენ განზრახული გვაქვს კვლავაც ფართოდ გამოვიყენოთ ეს სისტემა. მაგრამ ახლა იგი, რა თქმა უნდა, სერიოზულ დახვეწას მოითხოვს. იმედი გვაქვს, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო ამის თაობაზე წარმოგვიდგენს კარგად დასაბუთებულ, სოლიდურად არგუმენტირებულ წინადადებებს.

ამასთანვე ბევრი რამ ამ საქმეში, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ადგილებზე სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობის დონის ამაღლებაზე. აქ თავიანთი ყურადსაღები სიტყვა უნდა თქვან აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ახალმა რაიონულმა ორგანოებმა, რომლებსაც საამისოდ მოეპოვებათ შესაბამისი ეკონომიკური და სხვა სამსახურები.

ახლა, როცა ზოგიერთ სოფლის მეურნეობის პროდუქტს ემატება შესასყიდი ფასები, რომელთა წარმოება თითქმის ყველგან წლითიწლობით ზარალიანი იყო, ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ მაღალი რენტაბელობა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა დარგშიც.

უწინარეს ყოვლისა, ვგულისხმობთ მეცხოველეობას. **ვეცდებით მივაღწიოთ, და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მეცხოველეობა რენტაბელური გახდეს როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ისე ყოველ რაიონში, თითოეულ მეურნეობაში.**

მაღალი რენტაბელობა უნდა უზრუნველვყოთ საკონსერვო მრეწველობაშიც. მთელ რიგ ქვეყნებში ეს დარგი, როგორც ცნობილია, ეროვნული შემოსავლის ზრდის დიდმნიშვნელოვანი წყაროა. ჩვენში კი 108 დასახელების კონსერვიდან, რომლებსაც გაერთიანება „საქკონსერვმრეწვი" უშვებს, 83,3 პროცენტს მხოლოდ ზარალი მოაქვს. და სახელმწიფო იძულებულია ამ ზარალის დასაფარავად ყოველწლიურად დაახლოებით 40 მილიონი მანეთი გამოყოს.

უკანასკნელ წლებში ამ გაერთიანების სპეციალისტებმა მეცნიერთა და დამპროექტებელთა მონაწილეობით შეიმუშავეს ახალ სახეობათა საკონსერვო პროდუქცია, რომელიც თავისი ხარისხითა და თვითღირებულებით აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ეს მოწმობს, რომ ჩვენ მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი გვქონია საკონსერვო წარმოების რენტაბელობის ასამაღლებლად. საჭიროა ოღონდ მივაღწიოთ იმას, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უფრო სისტემატურად წარმოებდეს, რომ მთელ ამ პრობლემებზე მუშაობდნენ არა ცალკეული ამხანაგები, საქმის ენთუზიასტები, არამედ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციები. აღნიშნული პრობლემის გადაჭრისადმი უფრო დაინტერესებულ და საქმიან დამოკიდებულებას მოველით რესპუბლიკის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსა და ფასების სახელმწიფო კომიტეტისაგან.

რაც შეეხება აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში რენტაბელობის ამაღლების საკითხებს, ისიც უნდა ვთქვათ, **თუ როგორ დავაინტერესოთ ყველა პარტნიორი მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევით**, როგორ უზრუნველვყოთ, რომ მათ მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია მიიღონ ნაკლები დანახარჯებით, როგორ ავამოქმედოთ უკეთ ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურაში მოქცეული ფინანსური და სამართლებრივი ბერკეტები.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ უმაღლეს რენტაბელობას თითოეულ რაიონში, აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ ყოველ დარგში, მთლიანად რესპუბლიკაში, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, **ვისწავლოთ ახლებურად მეურნეობრიობა.**

ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ **საქმის კომერციული დაყენება.** „საქმის კომერციული დაყენება" — სწორედ ასე დაასათაურა ვ. ი. ლენინმა ერთ-ერთი სტატია, რომლის დაწერა 1921 წელს ჰქონდა განზრახული. ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს სიტყვა „კომერცია". მთავარი ხომ სახელწოდება კი არა, ის არის, თუ რა აზრს, რა მნიშვნელობას ვანიჭებთ ცნებას. სოციალისტური მეურნეობრიობის პირობებში **კომერცია** უნდა გვესმოდეს, როგორც უნარი — ნიადაგ შევუსატყვისოთ ერთმანეთს დანახარჯები და სამეურნეო საქმიანობის შედეგები და ამ საფუძველზე უკეთ ვმართოთ სოციალისტური წარმოება. ასეთი კომერცია არათუ არ ეწინააღმდეგება ჩვენი ცხოვრების ნორმებს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მათს დამკვიდრებას, ვინაიდან მიზნად ისახავს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

სამისოდ ფართო შესაძლებლობებს იძლევა **ცენტრალიზებული ფონდები**, რომლებიც ყოველ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში იქმნება. ეს სწორედ ის ეკონომიკური ბერკეტია, რომლის მეშვეობითაც შევძლებთ მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის მართვას. და ეს დიდმნიშვნელოვანი ბერკეტი საშუალებას გვაძლევს ვმართოთ არა მარტო მოგების ფორმირება, არამედ მისი გამოყენების პროცესიც.

რაიონებში ცენტრალიზებული ფონდების შექმნამდე სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის გამოყოფილი დიდძალი სახსრები პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა. ისინი დაქსაქსული იყო, და ეს ბოჭავდა ხელმძღვანელთა ინიციატივას, ხელ-ფეხს უბორკავდა მათ. მაგალითად, მეურნეობათა გაფართოების მარტო გამოუყენებელმა ფონდებმა რესპუბლიკაში წლის მანძილზე საშუალოდ დაახლოებით 50 მილიონი მანეთი შეადგინა.

ახლა ცენტრალიზებულ ფონდებში აკუმულირებული ეს სახსრები საშუალებას გვაძლევს ძალზე მოქნილად, ყველა პარტნიორისათვის ხელსაყრელად მოვახდინოთ ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მანევრირება, თავი მოვუყაროთ მათ უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით და მივიღოთ მაქსიმალური უკუგება.

ჩვენ საკმაოდ გვაქვს ცენტრალიზებული ფონდების მარჯვე გამოყენების დადებითი მაგალითები — ზუგდიდში, გორში, მახარაძეში, ლაგოდეხში, სხვა რაიონებში. ვინ არ იცნობს დღეს მახარაძის ჩაის ნარჩენების გადამამუშავებელი კომბინატის, იმ საწარმოს პროდუქციას, სწორედ ცენტრალიზებული ფონდების სახსრებით რომ აშენდა? ამავე სახსრებით განხორციელდა რაიონში საქონლის სასუქებელი პუნქტის, მეფრინველეობის ფაბრიკის რეკონსტრუქცია, გაფართოვდა ჩაის ფაბრიკა, რეკონსტრუირდება სხვა ობიექტები. ბევრი რესპუბლიკური ორგანო თავისუფლდება ზედმეტი საზრუნავისაგან. ახლა ამხანაგები დამოუკიდებლად წყვეტენ მთელ რიგ პრობლემებს თავიანთი რაიონის მასშტაბით.

ამავე დროს ყოველნაირად უნდა ვიზრუნოთ თითოეული კოლმეურნეობის, ყოველი საბჭოთა მეურნეობის, სამეურნეობათაშორისო გაერთიანების ეკონომიკურ შესაძლებლობათა უკეთ გამოყენების, მათი ფინანსური საქმიანობის გაუმჯობესების, პროდუქციის დამზადების სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის, აქ ხომ განსაკუთრებით ნათლად შეიძლება გამოვლინდეს ხელმძღვანელის საქმიანი თვისებები, მისი ფხიანობა.

ურიგო არ იქნებოდა ერთ რომელიმე რაიონშიც კი, ექსპერიმენტის წესით, დამზადების დარგში აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილისათვის დაგვეკისრებინა მოვალეობანი **კომერციული საქმიანობის ხელმძღვანელობის დარგში.**

კომერციული მუშაობის გაუმჯობესებისათვის რაიონულ გაერთიანებებს ყოველნაირად უნდა ამოუდგნენ მხარში ისეთი ავტორიტეტული ორგანოები, როგორიც არის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, ფინანსთა სამინისტრო, სახბანკისა და მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორები, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, ფასების კომიტეტი, სახშენი, სხვა ორგანოები და ორგანიზაციები.

კარგად უნდა გავიგოთ, ბოლომდე შევიგნოთ, **რომ მხოლოდ მთელი მატერიალური და ფინანსური რესურსების ყაირათიანი გამოყენების პირობით შევძლებთ მაქსიმალურად გამოვავლინოთ თვით აგროსამრეწველო კომპლექსების არსში ჩაქსოვილი ეფექტიანი მეურნეობრიობის პრინციპები, ავამოძრაოთ და ავამოქმედოთ ეს პრინციპები, ეს ბერკეტები.**

ამასთან დაკავშირებით უნდა მოგახსენოთ, რომ ახლახან სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ ცენტრალურ კომიტეტში შემოიტანა წინადადება საკრედიტო-საანგარიშსწორებო მექანიზმის **სრულყოფის** შესახებ, შეიმუშავა ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად. ყურადღებას იმსახურებს, მაგალითად, წინადადება საკრედიტო დაგეგმვის დარგში სახბანკის ადგილობრივ დაწესებულებათა უფლებების გაფართოების შესახებ. ძირეულად უნდა გარდაიქმნას სასოფლო მშენებლობის დაგეგმვისა და დაფინანსების პრაქტიკა.

კრედიტი, ისევე როგორც სხვა ფინანსური ბერკეტები, უფრო აქტიურად უნდა გამოვიყენოთ შრომის ფონდაღჭურვის გასადიდებლად აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ დარგებში. სასურსათო პროგრამა ითვალისწინებს მის ურთიერთდაკავშირებულ, უფრო შეწონასწორებულ განვითარებას. დღესდღეობით ეკონომიკის ამ სექტორის ეფექტიანობა ჯერ კიდევ დაბალია იმის გამო, რომ მისი შემადგენელი რგოლები ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზეა. რაც, ბუნებრივია, მკვეთრად ართულებს დაგეგმვის პროცესს, საწარმოო პროგრამების შესატყვისობას.

როცა დაგეგმვის საკითხებზე ვლაპარაკობთ, აქვე უნდა მოვიხსენიოთ ამ მუშაობის, ჩვენი აზრით, ისეთი საგულისხმო ასპექტი, როგორიც არის **რესპუბლიკის პოზიციების დაცვა საკავშირო ორგანოებში.** საკავშირო სამინისტროებსა და უწყებებში, როგორც იცით მუშაობენ ერთობ კომპეტენტური, საქმეში ჩახედული ადამიანები, და იმისათვის, რომ დავარწმუნოთ ისინი ჩვენი რომელიმე პოზიციის მართლზომიერებაში, ჩვენც არანაკლებ კომპეტენტურნი და გათვითცნობიერებულნი უნდა ვიყოთ პრობლემებში, გვქონდეს საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტები. არადა, ზოგიერთი ჩვენი მუშაკი, როგორც შემინიშნავს, მივლინებაში მიდის სულ სხვა და არა იმ არგუმენტებით შეიარაღებული, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს. ბუნებრივია, მათი სათხოვარი ვერ არის ხოლმე დასაბუთებული შესაბამისი სერიოზული და ღრმა ანალიზით და ხშირად საფუძველმოკლებულად გამოიყურება.

როდესაც დამაჯერებელი არგუმენტები მოგვყავს, ჩვენს თხოვნას, როგორც წესი, ყურადღებენ ხოლმე. ასე იყო, როცა ჩვენთან ჩამოვიდა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალური ბრიგადა.

ყოველივე ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენ, მაგალითად, ხშირად ვუჩივით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნაკლებობას. მაგრამ დღემდე არავინ ცდილა გაეანალიზებინა ჩვენი მიწის სავარგულების სპეციფიკა; დაესაბუთებინა ჩვენი თხოვნა იმით, რომ მიწის ნაკვეთების უდიდესი უმრავლესობის წვრილკონტურულობა, ჰაობიანი ადგილმდებარეობა, ხშირი წვიმები და ბევრი ზონის დიდი ტენიანობა ჩვენთვის მიუღებელს ხდის მთელ რიგ საერთო-საკავშირო ნორმატივებს. ეტყობა, ეს ნორმატივები რაიონების სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა განისაზღვრებოდეს.

პირველი წელი როდია, დაბეჯითებით მოვითხოვთ გამოგვიყონ დამატებითი ფონდები სასუქებისათვის, მაგრამ ჩვენს თხოვნას არ ვასაბუთებთ იმით, რომ მარტო უკანასკნელი 10 წლის მანძილზე რესპუბლიკაში თითქმის 40 ათასი ჰექტარით გადიდდა ხეხილისა და ციტრუსის ბაღების, ვენახების ფართობი, რომლებსაც მინერალური სასუქები გაცილებით მეტი რაოდენობით ესაჭიროებათ, ვიდრე, ვთქვათ, მარცვლეულ და ზოგიერთ სხვა კულტურებს.

და ასეთი მოსაზრებები მრავლად არის, საჭიროა მხოლოდ საქმის ცოდნით მივუდგეთ მათ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ **ეკონომიკის მეცნიერების** განსაკუთრებული როლი იმ პირობებში, როცა ჩვენთან აქტიურად ვაყალიბებთ აგროსამრეწველო კომპლექსს, [illegible]

რაც პრინციპულად ახალი ნაბიჯია [illegible] წარმოების ორგანიზაციაში. [illegible] ეკონომისტს აქ ფართო ასპარეზი [illegible] მოქმედებისათვის, გაბედული [illegible]. მაპატიონ პატივცემულმა ამხანაგმა მეცნიერებმა (მე კი ვიცი, რომ ეკონომიკის დარგის ბევრი სპეციალისტი დარბაზში იმყოფება), მაგრამ მათ უფრო მეტ გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ჩვენი ეკონომისტები, ცალკეული ამხანაგების გარდა, არ იჩენენ ჯეროვან დაინტერესებას ამ საინტერესო პროცესების მეცნიერული გააზრებით, რომლებიც [illegible]

[illegible]

V. აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური ამოცანა

ამხანაგებო!

ყველას კარგად გვესმის უბრალო ჭეშმარიტება: **სოციალიზმი გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, ნორმალურ კვებას, ნორმალურ ტანსაცმელს, ნორმალურ ბინას, ამას ადასტურებს მარქსი, ამას ადასტურებს ლენინი.** მაგრამ სასურსათო პროგრამის გადაწყვეტას [illegible]

[illegible]

(დასასრული 4-ე გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი

(დასასრული)

[illegible]

კომუნისტებიც! რომ მთელ პარტიასთან ერთად ივლის უვალი გზებით, ივლის ჭეშმარიტად რევოლუციური გაქანებით საქართველოს კომპარტიაც! რომ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდი ლენინის პარტიის მეთაურობით ახალ-ახალ მიჯნებს დალაშქრავენ, ახალ მწვერვალებს დაიპყრობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც, და როგორც ყოველთვის, ავანგარდში იქნებიან საქართველოს კომუნისტები!

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.